ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## „ხიდაშელმა და აგულაშვილმა საგარეჯოს საარჩევნო პროცესი გააყალბეს"

გვ.5



ორშაბათი, 29 თებერვალი, 2016 №49 (6975) ფასი: 50 თეთრი

# „ალექსი პეტრიაშვილზე თავდამსხმელებს პოლიცია მალე დაიჭერს"

ალექსი პეტრიაშვილს კიდევ ერთი ოპერაცია გაუკეთეს

გვ.6



კახა საკანდელიძე: „ერთს ნიღაბი ეკეთა, მეორე უნიღბოდ იყო"

ირაკლი ალასანია: „როგორი არაადამიანი უნდა იყო, რომ მეგობრის საფლავზე მისული კაცი დაცხრილო"

## შალვა ხაჭაპურიძე: „ალექსი პეტრიაშვილზე თავდასხმა პოლიტიკასთან კავშირში არ არის"

გვ.2



## „ივანიშვილი თავის ხალხს კომპრომატებით მართავს"

გვ.3



მეგი გოცირიძე: „ნაცმოძრაობა „ქართული ოცნების" კადრების სამჭედლოა"

## სოსო ცინცაძე: „2016 წლის არჩევნებზე ხალხი ისევ ივანიშვილს გაჰყვება"

გვ.4



## „მიდი, გოგი, მიაწექი!"

გვ.5





## „თბილისის ბიუჯეტს რამდენიმე ადამიანი ხმარობს"

გვ.4



მარიამ ქელბაქიანი: „ბაღებს 6 დღის პური დაურიგეს, ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელობას – პრემიები"

ISSN 1987-9385

## საქართველოში ორი ოპერატიული სარდლობა იქნება – დასავლეთისა და აღმოსავლეთის

გვ.6



დიმიტრი შაშკინი: „გვეკაიფებით? ეს 2012 წელს გადაწყდა"

# შალვა ხაჭაპურიძე: „ალექსი პეტრიაშვილზე თავდასხმა პოლიტიკასთან კავშირში არ არის“

ნონა ცაბაძე

გაუარესდა თუ არა ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაცია? ეს კითხვა ბოლო პერიოდში ხშირად ისმის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ახალ თაობას“ იურისტი, უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე ესაუბრა.

***— ბატონო შალვა, ხშირად გვესმის შეფასებები, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური ფონი დამძიმდა, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება სულ უფრო სახიფათო ხდება. რამდენად რეალურია ეს შეფასებები?***

— როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ გაიზარდა დანაშაული, ამ დროს ყოველთვის ვეყრდნობით სტატისტიკას. ჩემი ყოველდღიური საქმიანობაა სისხლის სამართალი და მე ჩემს სტატისტიკას ვეყრდნობი.

***— და რისი თქმა შეგიძლიათ?***

— ვერ გეტყვით, რომ გაზრდილია. გაიზარდა, ალბათ, დანაშაულების გარკვეული წილი. ეს უფრო არის წვრილმანი ქურდობები. მეორე ტიპის კატეგორია დანაშაულისა, რამაც იმატა, ეს შეიძლება იყოს დაკავშირებული ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებასთან. ესეც არ არის საგანგაშოდ გაზრდილი. ეს უფრო გაპიარდა. ამან



ქუჩაში ცხრილავდნენ, იყო ძალადობა, თუმცა, ამ ტერორის მიუხედავად, დანაშაული მაინც ხდებოდა. დანაშაული ყველგან ხდება, ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების თვითშეგნებასაც.

***— რას გულისხმობთ?***

— ძალიან არაპოპულარულ რაღაცას ვიტყვი, მაგრამ კრიმინალების დიდი ნაწილი ნაციონალების დროს არ ჩანდა, მიყუჩებული იყვნენ, ხმას არ

**სასაცილოა, მარიხუანაზე გამოვდივართ, ქვეყანას ვანგრევთ და აქვე მოშხამული არაყი იყიდება, რომელიც წამლავს ადამიანის გონებას. მქონია შემთხვევა, დაუკავებიათ კაცი, რომელმაც სიმთვრალეში დანაშაული ჩაიდინა, დილით შევდივარ კაპეზეზე და საერთოდ არაფერი ახსოვს.**

კი საზოგადოებაში გააჩინა განცდა, რომ დანაშაულმა იმატა.

***— სინამდვილეში რა ხდება? არ აღინიშნება მატება?***

— მე პრაქტიკაში მიხდება ამ ყველაფერთან შეხება და იგივე სტატისტიკაა, რაც იყო ნაციონალური მოძრაობის დროს, თუმცა არ დაგვავიწყდეს, მათ დროს რა ხდებოდა. ხალხს ილებდნენ, მაგრამ, როგორც კი იგრძნეს დემოკრატიის სიო, მაშინვე გააქტიურდნენ. ხშირად გვესმის ტელევიზიით, აქ დაჭრეს, იქ დაჭრეს. ადრე ამის თქმასაც ვერ ბედავდნენ, თუმცა ამ დანაშაულების 99%-ს თუ გადავხედავთ, ეს უფრო საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულია.

***— აქვე გკითხავთ ალექსი პეტრიაშვილზე განხორციელებულ თავდასხმაზეც. უამრავი ვერსია მოვისმინეთ, რომ ეს იყო შეკვეთილი მკვლელობის მცდელობა, ზოგმა პოლიტიკური სარჩული დაუდო. რას იტყვით თქვენ?***

**„იმაზე, რომ ეს ხულიგნობა არ არის, მეტყველებს ის, რომ თავდამსხმელები ნიღბებით იყვნენ“**

— მიმდინარეობს გამოძიება. თუ რა იყო და როგორ იყო, ამაზე წინასწარ საუბარი არ არის სწორი, მაგრამ, არ მგონია, რომ ეს იყოს დაკავშირებული პოლიტიკასთან. დღეს საქართველოში არ არის ისეთი ცხელი პოლიტიკური ფონი, რომ ამის ეჭვი გაგვიჩნდეს. თვითონ ეს პარტიაც, რომლის გენერალური მდივანიც გახლავთ ბატონი პეტრიაშვილი, არ არის ისეთ მწვავე და ხელჩართულ სიტუაციაში მმართველ პარტიასთან ან რომელიმე სხვა პოლიტიკურ ძალებთან, რომ ამას ეს შედეგი მოჰყოლოდა. ასეთი ტიპის დანაშაულს ყოველთვის თან ახლავს გარკვეული წინაპირობა.

***— ანუ?***

— რაღაც პირობის გამო ხდება ეს დანაშაული. ეს რომ ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი დანაშაული არ არის, ამაზე მეტყველებს ის, რომ თავდამსხმელები ნიღბებით იყვნენ.

***— რა იყო მიზეზი და მიზანი?***

— ვიღაცამ განზრახ დაგეგმა და განახორციელა. ეს პოლიტიკასთან კავშირში არ არის, დეტალებს კი გამოძიება გაარკვევს. დამნაშავეები რომ არ ყოფილიყვნენ ნიღბებით, მაშინ სხვა ვერსიაც გაჩნდებოდა.

***— კერძოდ?***

— ზოგადად სასაფლაოებზე ხშირია დანაშაული. მკვლელობებიც ხშირად ხდება და სხვა ტიპის დანაშაულიც. როგორც წესი, ეს საეკლესიო დღესასწაულებზე ხდება და სიმთვრალის ფონზე. მე ყველას მოვუწოდებ, თავი შეიკავონ პოლიტიკური განცხადებების კეთებისგან. ეს ორი დღეა, ვუსმენ დემაგოგიურ განცხადებებს, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ შეიძლება, რომ გარეთ გასვლა სახიფათოა და ასე შემდეგ. კარგით რა!



**სულ ვამბობდი 90-იან წლებში, მოვა დრო და ჩვენი მოსახლეობის 80-90% ფსიქიატრთან ვიქნებით სამკურნალო-მეთქი**

***— არ ეთანხმებით?***

— არა! ამერიკის პრეზიდენტი მოკლეს და იქ არ გაუკეთებიათ ასეთი განცხადებები. კი, ცუდია, რომ დანაშაული ხდება, არ უნდა ხდებოდეს. მე მოვუწოდებ პოლიციას, დროულად გახსნას ეს დანაშაული და, დარწმუნებული ვარ, ამ დღეებში გაიხსნება.

***— თქვენ აღნიშნეთ, რომ იმატა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილმა დანაშაულმა. რა ხდება, რატომ იმატა ასე მკვეთრად?***

— ძალიან მძიმე სოციალური ფონია ქვეყანაში. ამ მძიმე სოციალურ ფონს ემატება ის მძიმე ფსიქიკური ფონი, რომელიც ზოგადად ჩვენს ქვეყანაშია. სულ ვამბობდი 90-იან წლებში, მოვა დრო და ჩვენი მოსახლეობის 80-90% ფსიქიატრთან ვიქნებით სამკურნალო-მეთქი. ამას ვამბობ ისეთ ადამიანებზე, რომელთაც სოციალურად ყველაფერი მოგვარებული აქვთ. ამ კატეგორიაშიც კი მძიმე ფსიქიკური ფონია და ახლა ამათ დაუმატე ის კატეგორია, რომელიც სოციალურად უმძიმეს სიტუაციაშია. ამას დაამატეთ ალკოჰოლიზმი, რომელიც მძვინვარებს ქვეყანაში. ეს სერიოზული ჭირია. პირდაპირ ქუჩაში სვამს ახალგაზრდობა.

***— როდესაც მარიხუანის დეკრიმინალიზაციაზე საუბრობენ, ეს საკითხი არ არის მისახედი?***

— სასაცილოა, მარიხუანაზე გამოვდივართ და ქვეყანას ვანგრევთ, აქვე მოშხამული არაყი იყიდება, რომელიც წამლავს ადამიანის გონებას. მქონია შემთხვევა, დაუკავებიათ კაცი, რომელმაც სიმთვრალეში დანაშაული ჩაიდინა, დილით შევდივარ კაპეზეზე და საერთოდ არ ახსოვს, რა ჩაიდინა.

ეს ფსიქიატრიული სამსახურებიც საერთოდ მოიშალა. კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა – შემოიყარა უამრავი იარაღი. საიდან მოვიდა ამდენი მაკაროვი და ტეტე?! კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა...

***— რომელი?***

— სკოლამ დაკარგა თავისი ფუნქცია. დღეს ხმამაღლა გვიწევს იმის აღიარება, რომ სკოლა არათუ აღზრდას არ აკეთებს ბავშვებისას, სასკოლო საგნებსაც კი ველარ ასწავლიან.

***— რა არის ამის მიზეზი?***

— ის, რომ სისტემა ვერ ჩამოვაყალიბეთ, ვერ შევქმენით. ჩავხედოთ თითოეულ სფეროს. ყველგან ერთი და იგივე სიტუაციაა. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ის მოძალადეები, რომლებიც იყვნენ ნაციონალური მოძრაობის დროს, ბევრი სისტემაში მუშაობდა და ბევრი სისტემის გარეთ იყო. ესენი ყველანი გარეთ არიან. ვინმე დაისაჯა? არავინ!

***— ანუ არის იმის საფრთხე, რომ კვლავ დაიძაბოს სიტუაცია? კონკრეტულ ძალას თუ დასჭირდა, ამას სათავისოდ გამოიყენებს?***

— რა თქმა უნდა, გამოიყენებს. ეს აქციები, საპროტესტო გამოსვლები, იგივე ის, რაც ტყიბულში ხდება, სცილდება პროტესტის ფორმას. ეს ყველაფერი შესაძლოა სხვა ფორმებში გადაიზარდოს.

***— ანუ მართვადია ეს აქცია?***

— მე ვერ ვიტყვი, რომ ეს ახალგაზრდები დღეს ვინმესგან იმართებიან, მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ მათი გამოყენება მოხდეს შავბნელი მიზნებისთვის. ამიტომ ეს ძალიან საფრთხილო თემაა.

# ნაცმოძრაობამ პრემიერს გამოუძიებელი საქმეების სია გაუგზავნა

**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს იმ გახმაურებული საქმეების სიას უგზავნის, რომელთა გამოძიებაც სათანადოდ არ ხდება.**

როგორც ბრიფინგზე პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა აკაკი მინაშვილმა განაცხადა, სულ 56 ასეთი საქმეა და მათ შორისაა მკვლელობის ან საეჭვო გარდაცვალების 10, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის 5, ცემის 9, პირადი ცხოვრების შემცველი ინფორმაციის გამოყენებით დაშანტაჟების 5, უკანონო თავისუფლების აღკვეთის 5, პოლიტიკური მოტივით ჩადენილი დანაშაული 17, სამართალდამცავების მიერ ჩადენილი 26 ფაქტი.

**აკაკი მინაშვილი:**

— დღისით, მზისით შეიარაღებული თავდასხმა მოხდა პოლიტიკურ ფიგურაზე და, სამწუხაროდ, 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ეს პირველი შემთხვევა არაა. ჩვენ ვიცით ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობის ამბავი, ამბავი, როცა თავს დაესხნენ ნუგზარ წიკლაურს და მისი გატაცების მცდელობა იყო, თავს დაესხნენ გიორგი ღვინიაშვილსა და ჩიორა თაქთაქიშვილს.



სამწუხაროა, რომ 2012 წლის შემდეგ საქართველო, როგორც განგსტერული სახელმწიფო, ისე ჩამოყალიბდა და წარმოიდგინეთ იქ, სადაც პოლიტიკური ფიგურის უსაფრთხოება არაა დაცული, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები კიდევ უფრო ცუდ დღეში არიან. ესაა შედეგი იმ ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის, რომელსაც „ქართული ოცნება“ ატარებს. დღეს კრიმინალური სამყარო პრივილეგირებულ მდგომარეობაშია. დღეს რეალურად ორგანიზებული დანაშაული უსაფრთხოდაა, ხოლო მოქალაქეები საფრთხეში არიან.

როცა გიორგი კვირიკაშვილის დამტკიცება ხდებოდა, მან აღნიშნა, რომ ყურადღებას მიაქცევდა იმ ათეულობით გაუხსნელ საქმეს, რომლებიც დაგროვდა, თუმცა კვირიკაშვილი მოსახლეობის მოტყუების პრაქტიკას აგრძელებს.

სწორედ ამიტომ ჩვენ გაუხსნელი და გამოუძიებელი საქმეების სიას, სადაც ყველა ფაქტი ჩამოწერილია, წერილობით ვუგზავნით მას, რათა ეს საქმეები გამოიძიონ.

ნიუპოსტი

# აკაკი ბობოხიძე: „ელისო ჩაფიძე პოლიტიკური დივიდენდების დაგროვებას ცდილობს“



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატ აკაკი ბობოხიძის განცხადებით, ტყიბულში მიმდინარე პროცესებით დეპუტატი ელისო ჩაფიძე პოლიტიკური დივიდენდების დაგროვებას ცდილობს.

ბობოხიძის თქმით, მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების ფონზე, არა მხოლოდ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროს, არამედ მთელ საქართველოს ელოდება გაჩერება.



— ბუნებრივია იქ, სადაც ეკონომიკა იკლებს, ნედლეულზე მოთხოვნაც იკლებს. შესაბამისად, ბუნებრივია ტყიბულში მიმდინარე პროცესებიც. მე მინდა ერთ ფაქტს გავუსვა ხაზი – ელისო ჩაფიძე იყო ის ადამიანი, ვინც 2012 წელს ტყიბულებებს ეუბნებოდა, რომ წინა ხელისუფლებამ მათ შეღავათები შეუწყვიტა.

ირკვევა, რომ ეს შეღავათები მოსახლეობას არა წინა მთავრობამ, არამედ ამ ხელისუფლებამ შეუწყვიტა. ამიტომ მინდა მოსახლეობას კიდევ ერთხელ მივმართო და ვუთხრა – ესაა ის დაპირებული მე-4 საუკეთესო წელი, რომელსაც ამ ხელისუფლების პირობებში ველოდებოდით. ელისო ჩაფიძე ცდილობს ამ პროცესებით თავისი პოლიტიკური დივიდენდები დაიგროვოს, – განაცხადა ბობოხიძემ.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილი თავის ხალხს კომპრომატებით მართავს“

შორენა მარსაგიშვილი

რა საიდუმლოს ამხელენ ნაციონალები, ჰყავთ თუ არა ხელისუფლებაში ჩანერგილი ხალხი, რა კომპრომატები აქვს ივანიშვილს „ქართული ოცნების“ წევრებზე, რით ჰგავს დღევანდელი ვითარება გასული საუკუნის 90-იანებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი, ნაცმოძრაობის წევრი მეგი გოცირიძე ესაუბრება.



**მეგი გოცირიძე: „ქოცებო, არ იცოდით, რომ მკვდარი ზღვა მიშამ მოკლა?“**

## „ნაცმოძრაობა „ქართული ოცნების“ კადრების სამჭედლოა“

**მეგი გოცირიძე:**

– დღისით, მზისით ბუკა პეტრიაშვილზე განხორციელებული თავდასხმა ამტკიცებს იმას, რაზეც ნაციონალები ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ვყვირივართ – ქვეყანაში კრიმინალი აყვავდა. ახლა ისეთი ვითარებაა, რომ კრიმინალმა ნაყოფიც მოისხა.

მისი ყოფილი თანამებრძოლებისგან განსხვავებით, რომლებმაც პეტრიაშვილის ცემაზე რაღაც ორაზროვანი კომენტარები გააკეთეს, მე ვგმობ ამ ფაქტს და დამნაშავეების კანონის სრული სიმკაცრით დასჯას ვითხოვ, მიუხედავად იმისა, რომ კარგად მახსოვს ის კომენტარი, რომელიც ბუკამ ნუგზარ წიკლაურზე თავდასხმასთან დაკავშირებით გააკეთა.

***– რა კომენტარზე საუბრობთ?***

– როცა წიკლაურზე პირველი თავდასხმა განხორციელდა, პეტრიაშვილმა თქვა, ალბათ, გამწარებული ხალხი დაესხა თავსო. სხვათა შორის, ის საქმე დღემდე გამოძიებული არ არის.

საზოგადოების დაზაფვრა არ მინდა, მაგრამ ქვეყანაში გამეფებულია ქაოსი. ხელისუფლებაში ერთი თვის მოსულები იყვნენ, კრიმინალის მატება რომ დაიწყო. თავიდან ამას ნაციონალებს გვაბრალებდნენ. ახლა კარგა ხანია, ასეთი ბრალდებები არ მსმენია. შავ დღეში ჩავარდნილ ხელისუფლებას მე დავეხმარები და თქვენი გაზეთის საშუალებით გავამხელ იმ დანაშაულებს, რომლებიც ჩვენი ჩადენილია, მაგრამ ამაზე არავინ არაფერი იცის.

წითელი ზღვა რომ არის, ხომ იცით, ის ზღვა სააკაშვილმა შეღება სისხლით. აი, იმ სისხლით, ქოცების მტკიცებით, ჩვენ რომ ვსვამდით. ამ სისხლის ნახევარს ზღვაში ასხამდა და იქაურობა გაწითლდა. წყნარი ოკეანეც ეცოდეინებათ ქოცებს და ეგეც მიშამ დააწყნარა. ყველაზე მთავარი არის მკვდარი ზღვა, ქოცებო, არ იცოდით, ეს ზღვა სააკაშვილმა რომ მოკლა?

***– ხუმრობა კარგია, მაგრამ სერიოზულადაც ვისაუბროთ. კრიმინალის მატებას ჩვენ აღარ გვაბრალებენო და რა ხდება?***

– სანამ ამაზე გადავალ, შავი ზღვის ამბავიც არ დამავიწყდეს, ეგეც ჩვენი გაშავებულია. რაც შეეხება კრიმინალის მატებას, რას ელოდით, როცა ციხიდან ათასობით კრიმინალი გამოუშვეს. რამდენიც არ უნდა უარყონ, შექმნილი ვითარება ადასტურებს, რომ დღეს ქვეყანაში კრიმინალი წახალისებულია.

***– რით გამოიხატება კრიმინალის წახალისება?***

– რით? პროკურორებსა და პოლიციელებს ხოცავენ, მოსამართლეების მანქანებს ცეცხლსასროლი იარაღიდან ცხრილავენ. მეტი არგუმენტი რაღა მოვიყვანო. ბანკებისა და ბანკომატების გატან-გამოტანა ჩვეულებრივ ამბად იქცა.

მართალია, 21-ე საუკუნეში ვართ, მაგრამ ჩვენი ქვეყანა უკან, 90-იანი წლებისკენ მიექანება. კრიმინალი ბიბინებს, ლარის კუპონიზაცია სახეზეა, პირზე ტალონების შემოღებაღა გვაკლია და „ბედნიერი“ 90-იანებია.

***– დენი რომ არ ქრება? სად იყო სინათლე 90-იანებში?***

– ცოტაც აცალეთ და ეგეც ჩაქრება. გაზპრომს შემოიყვანენ და გაზიც სანატრელი იქნება. ქოცების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ იმ სისხლიან 9 წელში ჩვენ ენერგოდამოუკიდებლობა მოვიპოვეთ. ესენი ამასაც კარგავენ.

შეკვეთილი მკვლელობები და საქმის გარჩევებიც ჩვეულებრივი რამე გახდა. რამდენიმე დღის წინ მეოთხეკლასელმა ბავშვებმა ისე იჩხუბეს, რამდენიმე მათგანი საავადმყოფოში წაიყვანეს.

***– ბავშვების ჩხუბი მაშინაც ხშირად ხდებოდა, როცა თქვენ იყავით ხელისუფლებაში.***

– ნამდვილად ხდებოდა და ამიტომაც შემოვიღეთ მანდატურის ინსტიტუტი. ახლა ეს ინსტიტუტი აღარ ფუნქციონირებს და შედეგიც სახეზეა. ისეთი საშინელებები ხდება, მგონი, 90-იანებშიც არ იყო. სიგარეტს ასეთი ფასი მაშინაც კი არ ჰქონდა. 11-12 ლარი ღირს სიგარეტი და ხალხს, მგონი, განვადებით გამოაქვს.

იმდენი რამეა გაფუჭებული, რომ მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ამათი ვერაფერი გავიგეთ და იქნებ თავად აგვიხსნან, რას ემსახურება ეს ყველაფერი.

***– ექსპერტებისა და პოლიტიკოსების ნაწილი მეოცნებეთა ასეთ ქმედებებს იმით ხსნის, რომ ისინი ხელისუფლების გადაბარებისთვის ემზადებიან.***

– ქერის ორმოში არიან ჩავარდნილი და ესენი ამ თბილ სავარძლებს საკუთარი სურვილით არავის გადააბარებენ. შესაძლოა უნდათ კიდევაც ვილაცებს საქმის გაკეთება, მაგრამ არაფერი იციან. ზოგიერთმა მათგანმა კომპიუტერის გამოყენებაც კი არ იცის.

***– კომპიუტერის გამოყენება როგორ არ ეცოდინებათ.***

– როგორ და ჩვეულებრივად. მხედველობაში საქმის წარმოება მაქვს, თორემ ფეისბუქი და უფრო ოდნოკლასნიკები ეცოდინებათ. ხელისუფლება რომ შეიცვალა, ქოცები შეცვივდნენ ყველგან, მაგრამ, რომ ნახეს, საქმეს ვერ აკეთებდნენ, რამდენიმე ნაციონალი დატოვეს სამსახურში, რომ მათგან ელემენტარული რაღაც ესწავლათ.

***– გამოდის, ჩვენ რომ ჩანერგილები გვგონია, ისინი კომპიუტერის სპეციალისტები ყოფილან.***

– ამათ ჩანერგვა რად უნდათ. ისეთ განცხადებებს აკეთებენ, რომ ყველაფერი ნათელია. ამათ წარმოდგენაც კი არა აქვთ, რა არის სახელმწიფო. დღეს ძალაუფლება ქუჩაში აგდია. ახლა ის ვინმემ უნდა აიღოს.

***– როგორ გგონიათ, ვინ აიღებს ამ ძალაუფლებას?***

– რა თქმა უნდა, ჩვენ. ჩვენ ვართ ერთადერთი ძალა, რომელმაც იცის ქვეყნის მართვა. ნაციონალური მოძრაობა ის ძალაა, რომელმაც საქართველო ჭაობიდან ამოათრია და ძლიერ სახელმწიფოდ აქცია.

ჩვენ შორის შიგნით არაერთ თემაზე ყოფილა კამათი, მაგრამ ეს გარეთ არ გამოსულა. ესენი ერთმანეთს დაერივნენ და მათი გამჩერებელიც არავინაა. დეპუტატი მინისტრს არჩევნების გაყალბებას სდებდა ბრალად, მინისტრი ფრაქციის თავმჯდომარეს ჩეკისტობას აბრალებს.

***– ახლა არ თქვათ, რომ მათ შორის არსებული დაპირისპირება გაწუხებთ.***

– ქვეყნის იმიჯზე აისახება ეს ცუდად, თორემ, ისე უქნიათ, დაუჭამიათ ერთმანეთი. სხვას რას ელოდით ხალხისგან, რომელიც იდეის კი არა, ფულის გარშემო გაერთიანდა.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, დაპირისპირება ძალიან საინტერესო სახეს მიიღებს. კოალიციის ყველა წევრზე კომპრომატები არსებობს და მათი ფრიალი დაიწყება.

***– თქვენ ააფრიალებთ?***

– ჩვენ რატომ უნდა ავაფრიალოთ? ერთმანეთს აუფრიალებენ. ივანიშვილმა კოალიციაში შესაყვანი ხალხის სია საგანგებოდ შეარჩია, არჩევანი კომპრომატებით გადაპენტილ ხალხზე გააკეთა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# მიხეილ სააკაშვილი: „მინდა, უკრაინის პოლიტიკური კლასი შევცვალო“

**გერმანული გაზეთის „ფრანკფურტერ რუნდშაუს“ კორესპონდენტმა შტეფან შოლმა ინტერვიუ ჩამოართვა საქართველოს ექსპრეზიდენტს, უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც საუბრობს უკრაინის პერსპექტივაზე, პირად კარიერულ გეგმებზე და, რასაკვირველია, იხსენებს თავისი პრეზიდენტობის წლებს საქართველოში...**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას:**



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილს უკრაინის ახალ პრემიერ-მინისტრად მოიაზრებენ. იგი ამჟამინდელ პრემიერს აკრიტიკებს და უკრაინის პოლიტიკური კლასის, პოლიტიკური სისტემის რეფორმირება სურს. მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ცხრა წლის განმავლობაში მართავდა, საკმაოდ წარმატებით ებრძოდა კორუფციას და მაფიას, თუმცა მას იმავდროულად ბრალს სდებენ ავტორიტარიზმის გამოვლინებაშიც. 2013 წლის ნოემბერში, პრეზიდენტობის ვადის გასვლის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი ემიგრაციაში – აშშ-ში წავიდა, სამშობლოში კი მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა: ექსპრეზიდენტს სახელმწიფო ხარჯზე გართობა-დროსტარებასა და საბიუჯეტო სახსრების განიავებაში ადანაშაულებენ.

2025 წლის დასაწყისში უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ მიხეილ სააკაშვილი (ისინი კიევში ერთად სწავლობდნენ) ჯერ თავის მრჩევლად დანიშნა, მოგვიანებით კი, მაისში, ოდესის ოლქის გუბერნატორად. იმავდროულად მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობაც მიიღო. ოდესის ოლქის ახალმა მმართველმა რეფორმების გატარება დაგეგმა, პარალელურად კი უკრაინის პრემიერ-მინისტრის არსენ იაცენიუკის კრიტიკა დაიწყო, რომელიც, მისი თქმით, კორუფციონერია და ხელს უშლის რეფორმების გატარებაში.

***– თქვენზე ამბობენ, რომ უკრაინის პრემიერმინისტრობა გაქვთ მიზნად...***

– მე სულ სხვა ამბიციები მაქვს, ვიდრე პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. მე მინდა მთლიანად შევცვალო უკრაინის პოლიტიკური კლასი. მთავრობის ხელმძღვანელი შეიძლება ყოველწლიურად ახალ-ახალი დანიშნო, მაგრამ თუ პოლიტიკური კლასი არ შეცვალე, ისე არაფერი გამოვა, სიტუაცია იგივე დარჩება.

***– პარლამენტში პრეზიდენტის მხარდამჭერმა დეპუტატებმა არსენ იაცენიუკის გადაყენება არ დაუშვეს თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ. იმავდროულად, იგივე დეპუტატები ახალი საბაჟო კანონის მიღების ბლოკირებას ახდენენ. თქვენთვის ასეთ ნეგატიურ ფონზე ისევ თვლით, რომ პრეზიდენტის გუნდის წევრი ხართ?***

– მე საკუთარ თავს ყოველთვის უკრაინის გუნდის წევრად ვთვლი. ცხადაია, ეს ნიშნავს, რომ მე პოლიტიკურად პრეზიდენტთან უნდა ვითანამშრომლო. მინდა, რომ მას წარმატებების მიღწევაში დავეხმარო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მე პიროვნებებს ვემსახურები. მე ვემსახურები უკრაინას. ასევეა პრეზიდენტიც. ანუ ჩვენ იმ გუნდში ვართ, რომელიც უკრაინას ემსახურება.

***– არსენ იაცენიუკი კვლავ თავის თანამდებობაზე დარჩა. ისიც უკრაინას ემსახურება?***

– ის, რომ მას ნდობის ვოტუმი კვლავ შეუნარჩუნდა, სხვა არაფერია, თუ არა ოლიგარქების სახელმწიფო გადატრიალება. პარლამენტმა ხალხის სურვილი არ გაითვალისწინა... ახლა დეპუტატები სამკვირიან შვებულებაში წავიდნენ, ქვეყანაში კი სიტუაცია უარესდება.

***– როგორ უნდა მოგვარდეს პოლიტიკური კრიზისი?***

– ერთადერთი გამოსავალი ისეთი მთავრობის ჩამოყალიბებაა, რომელიც ხალხის ნდობით იქნება უფლებამოსილი.. ნუ დაგვავიწყდება, რომ უკრაინის ჯანსაღი ძალები და უკრაინელი ხალხი დემოკრატიის მონაპოვარს დაიცავს... ჩემი ოპონენტები აცხადებენ, რომ მიხეილ სააკაშვილი თავის საქართველოში დაბრუნდეს და ჩვენ თავი დაგვანებოს, ანდა იჯდეს ოდესაში და გუბერნატორის მოვალეობა შეასრულოს, თვალში ყველგან ნუ გვეჩხირებაო. რა თქმა უნდა, მე ამას სიხარულით ვაკეთებ, ოდესა ჩემთვის საყვარელი ქალაქია, მინდა იქ მუშაობა... მაგრამ მითხარით, როგორ ვიმუშაო, როცა ფინანსები შემცირებულია, როცა ხელს მიშლიან საბაჟოს რეფორმირებაში, როცა გზის მშენებლობისათვის კი კაპიკი არ მოუციათ? ოდესაში სიტუაციის შეცვლა კიევიდან უნდა დაიწყოს, სწორედ კიევში უნდა შეიცვალოს თამაშის წესები.

***– რა არის თქვენთვის უკრაინა როგორც პოლიტიკოსისა და როგორც ადამიანისათვის?***

– უკრაინა ძალიან მიყვარს, აქ გავატარე ჩემი ცხოვრების ცხრა წელიწადი, აქ ვსწავლობდი და ვმსახურობდი არმიაში, აქ უამრავი მეგობარი მყავს. გარდა ამისა, მეზობელი ქვეყნების ბედი, მათ შორის საქართველოსიც, უკრაინის ბედზეა დამოკიდებული. მე სახლში ვარ და ამიტომაც უკრაინის მომავალს დავიცავ.

ნიუსპრესი

## თინა ხიდაშელი: „მე და ჩემი მეუღლე რუსეთისთვის ძალიან სერიოზული პრობლემა ვართ“



თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ის და მისი მეუღლე რუსეთისთვის პრობლემას წარმოადგენენ, ამაზე მინიშნება კი თინათინ ხიდაშელმა ეუთოში რუსეთის ელჩისგან მიიღო. აღნიშნულ თემაზე ხიდაშელმა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში ისაუბრა:

**თინათინ ხიდაშელი:**

– გასულ კვირას ეუთოში ვიყავი და რუსეთის ელჩმა სრულიად პირდაპირ, 56 ელჩის თანდასწრებით ძალიან მარტივი რამეები მითხრა. მან თქვა, რომ მე ძალიან ხშირად ვსაუბრობ ნატოში ინტეგრაციაზე და ეს მას აწუხებს, თქვა, რომ მე და ჩემი მეუღლე ვართ ძალიან სერიოზული პრობლემა რუსეთისთვის დღეს. ეს მან ღიად თქვა სხდომაზე, იმიტომ რომ ძალიან გამოკვეთილია ჩვენი ლიბერალ-დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულება და რომ ეს რუსეთისთვის არ არის მისაღები.

მან თქვა, რომ ოქტომბრის შემდეგ არ იქნება ხელისუფლებაში იმიტომ, რომ ზუსტად იცის, რომ რუსეთის სწორი და ჭკვიანური მოქმედებების გამო საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება იმ ორიენტაციის სასარგებლოდ, რომელიც მათ უნდათ. გასაგებია, რომ ვიღაცას მეტი ინტელექტი აქვს და ვიღაცას – ნაკლები. ვიღაც ახერხებს, ისე შეფარულად თქვას სათქმელი, რომ ხელი პირდაპირ ვერ დაადო და ვერ უთხრა, რუსი ხარო, ვიღაცა კი ამას ვერ ახერხებს.

ნიუპოსტი

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოსო ცინცაძე: „2016 წლის არჩევნებზე ხალხი ისევ ივანიშვილს გაჰყვება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ არ დაიშლება, მაგრამ პროცესები კიდევ უფრო გამწვავდება და ამისთვის ივანიშვილი მზად უნდა იყოს.





***– ბატონო სოსო, რამდენად შეიძლება არჩევნების წინ კოალიცია საერთოდ დაიშალოს?***

– არა, კოალიციის დაშლა გამორიცხულია. რომელიმე პარტიას მაინც უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ მარტო გავა არჩევნებზე და გაიმარჯვებს. ამის იმედი არცერთ პარტიას არ აქვს. მაგალითად, თავად „ქართული ოცნება“ რომ გავიდეს კოალიციიდან და პარტიამ კი არა, ბიძინა ივანიშვილმა რომ გაიმარჯვოს, ეს იქნება პარტია „ქართული ოცნების“ გამარჯვება, მაგრამ მთავრობას მაინც ვერ დააკომპლექტებს. სხვათა შორის, არც კადრები არ ეყოლება საამისოდ. ამიტომ კოალიცია შენარჩუნდება, არც მისი დაშლის პოლიტიკური ნება არსებობს. ეს გადაწყვეტილება თავად ივანიშვილმა უნდა მიიღოს, როგორც თავის დროზე ასეთი ერთობის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო.

***– მაშინ ამ გადაწყვეტილებას ხომ სხვა საფუძველი ედო?***

– გასაგებია, მაგრამ ივანიშვილის მხრიდან დღეს ამ გადაწყვეტილების მიღება იქნება რადიკალური ნაბიჯი და ეს იქნება პირდაპირ ბარიკადებზე ასვლა მისი მხრიდან.

***– რატომ?***

– ეს იმას ნიშნავს, რომ მან უნდა გადაიმტეროს მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრი. ქართული პოლიტიკიდან წასვლა ხომ არ არის ევროპის ან ამერიკის პოლიტიკიდან წასვლა, სადაც ეს დროებითი მოვლენაა, რადგან, დღეს რომ დამარცხდები, ხვალ გაიმარჯვებ და დაბრუნდები კიდეც. დღეს, ქართული პოლიტიკიდან წასვლა, პირველ რიგში, უხელფასოდ, შემოსავლის, კეთილდღეობის გარეშე დარჩენას ნიშნავს. ეს ნიშნავს, რომ აღარ გაქვს გავლენა, აღარ შეგიძლია ბიძაშვილი, ცოლისძმა სამსახურში მოაწყო. წარმოიდგინეთ, ამ ადამიანებს ბიძინა ივანიშვილმა დღეს რომ უთხრას: არა! მორჩა! როგორ შემოუტრიალდებიან მას და რა დღეში ჩააგდებენ?! შეიძლება, იქამდე მიიყვანონ ივანიშვილი, რომ არათუ პოლიტიკაზე აალებინონ ხელი, საერთოდ ხელი აალებინონ საქართველოში დარჩენაზეც კი. ამიტომ კბილებით ჩაბღაუჭებიან კოალიციასაც და გაერთიანებული ძალით ისეთ შანტაჟს მოუწყობენ ივანიშვილს, რომ თავბედს დააწყევლინებენ.

***– არჩევნების მოახლოებასთან ერთად შიგნით პროცესები კიდევ უფრო დაიძაბება?***

– ბუნებრივია და ივანიშვილი ამისთვის მზად უნდა იყოს. ამ ადამიანებისთვის პოლიტიკაში დარჩენა ყოფნა-არყოფნას ნიშნავს, სიკვდილ-სიცოცხლის დილემაა, თუ რატომ აქვთ ასე გამძაფრებულად, ამაზე უკვე მოგახსენეთ. წარმოიდგინეთ, რომ ეს ყველაფერი დაკარგონ. ცხადია, ამას ვერ ეგუებიან და ამიტომაც ვართ ამ ყველაფრის მოწმენი. ჩვენთან სულ სხვა სცენარი და სიუჟეტი ვითარდება, განსხვავებული ფიგურანტებით, ვიდრე ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ადამიანი სახელმწიფო სამსახურში იმიტომ კი არ მიდის, რომ ფული იშოვოს, არამედ ემსახუროს ქვეყანას. იქ სახელმწიფო სამსახურში არავის უნდა წასვლა, რადგან გაცილებით ნაკლებია ხელფასი, ვიდრე კერძო სექტორში. ჩვენთან კი ყველაფერი პირიქითაა. ამიტომ ვამბობ, რომ რასაც ახლა ვხედავთ, მხოლოდ ყვავილია, ნაყოფი შემდეგ იქნება. იქნება მუჯლუგუნები, კომპრომატები. თოფაძისა და „რესპუბლიკელების“ დაპირისპირება შეიძლება მონაგონი იყოს იმასთან შედარებით, რაც შეიძლება მოხდეს.

***– ასე მწვავედ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

– ჯერ კიდევ მოლოდინის რეჟიმში არიან, მაგრამ, როდესაც ფაქტის წინაშე დადგებიან და აღმოაჩენენ, რომ საპარლამენტო სიის მიღმა რჩებიან, მერე ეს ადამიანები ძალაუნებურად გაერთიანდებიან.

***– და რა შეიძლება მათ გააკეთონ?***

– ბევრს ვერაფერს გააკეთებენ, მაგრამ წყალს ამღვრევენ, სიტუაციას დაძაბავენ და დესტაბილიზაციის ელემენტებს შეიტანენ არა მხოლოდ პოლიტიკურ პროცესში, არამედ ჩვენს ცხოვრებაშიც, მაგრამ ვერაფერს შეძლებენ, რადგან მათ ხალხის მხარდაჭერა არ ექნებათ.

***– თქვენ ამბობდით, რომ პარტია „ქართული ოცნება“ შეიძლება გავიდეს კოალიციიდან. თავის დროზე რატომ არ უნდოდა ივანიშვილს, რომ ძლიერი პარტია შეექმნა და მხოლოდ ის ყოფილიყო დასაყრდენი?***



– როგორ არ უნდოდა, მაგრამ ასეთი მარტივი არ არის ძლიერი პოლიტიკური პარტიის შექმნა. აქ მხოლოდ ფინანსური რესურსი არ არის მთავარი, მთავარია ადამიანური რესურსი. ვინ იქნებიან პარტიაში, შენი მომხრეები მხოლოდ თუ იდეური მიმდევრები. პარტია ბევრი ნიუანსისგან შედგება, ძალიან რთული პროცესია და მისი შექმნის დროს მთავარი სელექციაა. მედროვე თანამოაზრისგან უნდა გაარჩიო ისე, რომ არ შეგეშალოს. კოალიციის შექმნის დროს ივანიშვილმა კურსი თანამოაზრეებისკენ კი არა, თანამებრძოლებისკენ აიღო. ურჩხული გაქრა და ახლა აღარ არის ბრძოლა საჭირო, თანამებრძოლებს კი ღირებულებები არ აკავშირებთ, ბრძოლის ობიექტი აღარ არსებობს, ამიტომ ეს ქაოსი ბუნებრივია.

***– ამ არჩევნების მიმართ რა მოლოდინი გაქვთ, როგორ განვითარდება მოვლენები, ვინ გაიმარჯვებს?***

– დღეს ხალხი ისევ ივანიშვილს გაჰყვება, მაგრამ იმდენი არა, რამდენიც 2012 წლის არჩევნებზე გაჰყვა, მაგრამ ნაწილი მაინც მას მისცემს ხმას, რადგან სხვას ვერავის ხედავს, ვისაც შეიძლება დაეყრდნოს.

***– მეორე ნაწილი?***

– მეორე ნაწილი სახლში დარჩება, მათგან ერთი, ორი, რომელსაც აქტიურობა არ ასვენებს, წავა და ორ, სამკაციან პარტიას მისცემს ხმას. ეს იქნება და ეს.

# „თბილისის ბიუჯეტს რამდენიმე ადამიანი ხმარობს“

## მარიამ ქელბაქიანი: „ბაღებს 6 დღის პური დაურიგეს, ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელობას – პრემიები“

შორენა მარსაგიშვილი

**მოქმედი ხელისუფლება პრემიებისმოყვარეობის გამო არაერთხელ გაეხვია შარში. ამ მხრივ განსაკუთრებული მადა დედაქალაქის მერიას აღმოაჩნდა. გასული წლის დეკემბერში მერიაში პრემიებისა და დანამატების სახით 2.198.000 ლარი გაიცა.**

**ნარმანიას უწყებას პრემიები არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორმა“ დაუთვალა.**



მონიტორინგის ცენტრმა გადაწყვიტა, სხვადასხვა ა(ა)იპებში და სსიპებში გაცემული პრემია-დანამატების ოდენობაც გაერკვია.

„მედიატორის“ ყურადღება ამჯერად ბაღების მართვის სააგენტომ დაიმსახურა. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელმა მარიამ ქელბაქიანმა „ახალ თაობას“ განუცხადა, ბაღების მართვის სააგენტო საგანგებოდ შეარჩიეს.

– ჩვენი ყურადღება ბაღების მართვის სააგენტოს დავუთმეთ, როგორც ყველაზე გაუმართავ ერთეულს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს კონკრეტული ფაქტები, როგორებიცაა თანამშრომლების მასობრივი და უკანონო დათხოვნა, ტენდერები, რომლებშიც კომპანიები ყოველგვარი გამოცდილების გარეშე იმარჯვებენ და ამის გამო რამდენიმესთან კონტრაქტის გაწყვეტაც მოხდა, – აცხადებს ჩვენთან საუბარში ქელბაქიანი.

მისი თქმით, სერიოზული პრობლემებია ბავშვების კვებასთან დაკავშირებით.

– არაერთხელ დაფიქსირდა სხვადასხვა ბაღში დაძველებული საკვებით ბავშვების გამოკვების ფაქტები ან თუნდაც 6 დღის პური, რომელიც საკვებად დაარიგეს. იმის გამო, რომ „მედიატორი“ ფაქტობრივად ყველა დეტალს იკვლევს, კვების ამბავს გადაჰყვა მონიტორინგის სამსახურის უფროსი, რომელიც გაათავისუფლეს თანამდებობიდან, – ამბობს „მედიატორის“ წარმომადგენელი.

როგორც მარიამ ქელბაქიანი ამბობს, ისინი დაინტერესდნენ, აიღეს თუ არა პრემია-დანამატები ბაღების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა.

საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ამ სააგენტოში მაღალ თანამდებობაზეა თბილისის საკრებულოს დეპუტატ ჯაბა სამუშიას მეუღლეც.

– დავინტერესდით, რა ოდენობის პრემია აიღეს ამ სააგენტოს წარმომადგენლებმა.

ციფრები ნამდვილად შთამბეჭდავია და თორდინავასა და მისი გუნდის მადაზე მიუთითებს. მხოლოდ დეკემბერში პრემია-დანამატმა 66.000 ლარს გადააჭარბა, საიდანაც პრემია 59.000 ლარს შეადგენს. თორდინავას პრემია-დანამატმა ერთ თვეში 5.000 ლარს გადააჭარბა. მის ხელფასსაც თუ დავამატებთ, გამოვა, რომ ერთ თვეში 8.000 ლარამდე შემოსავალი მიიღო.

ბაღის რიგითმა მასწავლებელმა ეს ანაზღაურება რომ მიიღოს, 3 წელი უნდა იმუშაოს, – აღნიშნავს ქელბაქიანი.

უწყებიდან გამოთხოვილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თორდინავას სამმა მოადგილემ, ჯამში, 11.400 ლარის დანამატი და პრემია აიღეს.

„მედიატორის“ წარმომადგენლის განცხადებით, ეს არის კორუფცია და ბიუჯეტის ფლანგვა. მას იმედი აქვს, რომ ამაზე თბილისელები ხმას ამოიღებენ.

**მარიამ ქელბაქიანი:**

– სოციალურად დაუცველისთვის დღეში 1 ლარი და 18 თეთრი საკმარისია ანუ 35 ლარი უნდა ეყოს თვეშიო და თორდინავამ მხოლოდ ერთ თვეში აიღო 8.000 ლარი. ამ ადამიანმა ერთ თვეში აიღო იმდენი, რამდენსაც გაჭირვებულ ადამიანს 19 წელი ამყოფინებენ. წარმოუდგენელი სითავხედეა.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, სად იხარჯება მათი ფული. თბილისელების ბიუჯეტს რამდენიმე ადამიანი საკუთარი თავისა და კომფორტისთვის ხმარობს.

# „ივანიშვილი თავის ხალხს კომპრომატებით მართავს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– იმის თქმა გინდათ, რომ კომპრომეტირებული ხალხი შეარჩია საგანგებოდ?***

– რა თქმა უნდა. სპეციალისტების ნაცვლად ასეთ ხალხს ეძებდა სანთლით. აბა, რა გგონიათ, გია ჟორჟოლიანი რატომ მოხვდა პარლამენტში ან სოსო ჯაჭვლიანი? ამ ჯაჭვლიანის ერთადერთი დამსახურება ის იყო, რომ კურტანიძესთან ერთად ჯაჭვები შემოიკრა და ქუთაისიდან ასე ჩამოვიდა თბილისში.

***– მსოფლიოს ჩემპიონი რომ არის მკლავჭიდში ჯაჭვლიანი, ეს არაფერს ნიშნავს?***

– ვთქვათ, მსოფლიოს ჩემპიონია და მერე რა? ხომ ხედავთ, მთელი მკლავჭიდელები აუმხედრდნენ.

***– როგორც ამბობენ, ამაში ნაცმოძრაობის ხელი ურევია.***

– ჩვენი ხელი არა, ჩვენი ფეხი. ყველაფერს თუ ჩვენ ვურევთ, გამოდის, რომ ძალიან მაგრები ვყოფილვართ. ამაში ისედაც არ მეპარება ეჭვი, მაგრამ, ის მითხარით, ხელისუფლება სად არის ამ დროს.

***– მოდით, ისევ კომპრომატების თემას დავუბრუნდეთ. ეს კომპრომატები ივანიშვილის ხელში საიდან აღმოჩნდა, ნაციონალებმა მიეცით?***

– ჩვენ მიერ კომპრომატების მიწოდება რაში სჭირდებოდა, კარგად შეხედეთ, მოსიარულე კომპრომატები არიან. გუბაზ სანიკიძე რატომ უნდა იყოს პარლამენტში, ხალხო? მაგის დამსახურება მითხარით რამე.

***– ლევან სანიკიძის შვილია.***

– ლევან სანიკიძე კარგი ადამიანი იყო, მაგრამ მისი შვილობა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ პარლამენტში წამოჯდე. ლევან სანიკიძის შვილი რომ არის, კიდევ უფრო არ ეპატიება, რასაც ეგ პარლამენტში აკეთებს.

***– რას აკეთებს იმისთანას, რასაც სხვები არ აკეთებენ?***

– რას აკეთებს და სძინავს. ამ ადამიანს ძილში ვუხდით 5.000-ლარიან ხელფასს. შვილების თემა კარგად გამახსენეთ, იუსტიციის მინისტრის მამა მოსამართლე წულუკიანი იყო, რომელსაც 20 ადამიანისთვის აქვს სასიკვდილო განაჩენი აქვს გამოტანილი.

***– მამების შეცდომებზე შვილები პასუხს არ აგებენ.***

– პასუხს არ ვთხოვ, უბრალოდ, მაინტერესებს, გახსნის თუ არა იუსტიციის სახლთან ახალ მემორიალს.

***– რა მემორიალი უნდა აღმართოს?***

– იქ ხომ აღმართა ერთი მემორიალი, რომელიც ნაციონალური რეჟიმის მსხვერპლთა სახელზეა. კეთილი ინებოს და შევარდნაძისა და კომუნისტების დროს დახვრეტილებსაც დაუდგას ძეგლი. სამართლიანობა სხვანაირად ვერ აღდგება.

კომპრომეტირებული ხალხი რატომ შეარჩია ივანიშვილმაო, მკითხეთ ზემოთ. იმიტომ შეარჩია, რომ ასეთი ხალხის მართვა და მათზე ხელის შეწმენდა უფრო იოლია. აბა, გაიხსენეთ, არჩევნების წინ როგორ დაარბენინებდა ამ ხალხს და დაპირებებს არიგებინებდა. ვერაფერი ვერ შესრულდა და ახლა ყველაფერს ამათ დააბრალებს.

მეტსაც გეტყვით, ივანიშვილმა რამდენიმე წლის წინ საინტერესო რამე თქვა, შევქმნი ოპოზიციურ გუნდს, რომელიც ჩემივე ხალხს დაუპირისპირდებაო. ასეც იქნება.

***– რატომ გგონიათ, რომ ასე იქნება, ამტკიცებთ, რომ არცერთი დანაპირები არ შეასრულა და რაღა ამას შეასრულებს?***

– ამას იმიტომ შეასრულებს, რომ მის საქმეს სჭირდება ასე. ოლიგარქმა კარგად იცის, რომ მის ხალხს აღარავინ მისცემს ხმას. დღეს მოქმედი ქოც-მაჟორიტარები არჩევნებს ველარ მოიგებენ.

***– ამაზე არჩევნების შემდეგ ვისაუბროთ.***

– არჩევნები რად უნდა ამას, მათი მარცხი ახლაც ნათლად ჩანს. რომელმა რაიონმა უნდა აირჩიოს ეს ხალხი? გახსოვთ დაპირება, 5 მილიონი თითო სოფელსო, ამ თბილისში რომ დამსხდარხართ ეს ჟურნალისტები, წადით, ნახეთ სოფლები, იქნებ მიაკვლიოთ ამ 5 მილიონს. არცერთ სოფელს არ მიუღია ეს თანხა.

კარგად მახსოვს, ზვიად ძიძიგური როგორ ყვიროდა, დენი 5 თეთრზე ძვირი როგორ უნდა იყოსო, ამტკიცებდა, მიშას წილი აქვს ამ ტარიფშიო. რატომ არ გახადეს დენი 5 თეთრი და ახლა ვის ჯიბეში მიდის ეს ფული? ამ ადამიანს ახლა ხმას აღარავინ მისცემს.

***– ისე, არ დაგავიწყდეთ და 2004 წელს ნაცმოძრაობამ გაიყვანა ძიძიგური პარლამენტში.***

– არაფერი არ მავიწყდება. ჩვენ მიერ მოყვანილი ხალხი რომ არა, დღეს ივანიშვილი პარლამენტში უმრავლესობასაც ვერ მოაგროვებდა. ოლიგარქი თავის ხალხზე მეტად პორტირებულ ნაციონალებს ენდობა.

***– ვითომ ასეა საქმე?***

– ასეა, ასე. მართლა მაგათ იმედზეა, დანარჩენებს შეხედეთ, რა სიტყვებით ამკობენ ერთმანეთს. დაახლოებით 10 დღის წინ ერთმანეთზეც გაიწიეს,. ნაციონალების მიერ მოყვანილი ხალხი რომ არ გადაებირებინა, ყველაფერს დაკარგავდნენ. ნაცმოძრაობა „ქართული ოცნების“ კადრების სამჭედლოა.

მაგარი უნამუსო ხალხია ამ „ოცნებაში“. ნაციონალებზე ამბობენ, 9 წელი სისხლს სვამდნენო და ამ ხალხთან ერთად უმრავლესობა შექმნეს. თუ სისხლს ვსვამდით, ეგენიც დალევდნენ, აბა, მარტო მე და მიშას კი არ დაგვილევია სისხლი.

# მამუკა ტუსკაძე: „ხიდაშელმა და აგულაშვილმა საგარეჯოს საარჩევნო პროცესი გააყალბეს“

გულიკო ბალაძე

**არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭო“, რომელიც საგარეჯოს არჩევნებს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აკვირდებოდა, აცხადებს, რომ გოგი თოფაძე მართალია, როცა ამბობს, რომ საგარეჯოს არჩევნები გაყალბდა.**





## „იმედი მაქვს, რომ პროკურატურა დამკითხავს“

– საგარეჯოში ძირითადი დარღვევა მე-13 საარჩევნო უბანზე იყო, რომელიც სამხედროების უბანია. საგარეჯოში არჩევნები გაყალბდა, – აცხადებს „სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭოს“ თავმჯდომარე, ადვოკატი მამუკა ტუსკაძე.

***– საიამ განაცხადა, დარღვევები იყო, მაგრამ ამას საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენიაო.***

– სწორედ ჩვენი და საიას ინიციატივით არჩევნების მეორე დღეს გაიხსნა მე-13 უბნის ბიულეტენების დალუქული ყუთები და საოლქო კომისიაში ხმები თავიდან დაითვალა.

***– რა შედეგი იყო?***

– 798 ბიულეტენის ნაცვლად ყუთში 799 ბიულეტენი აღმოჩნდა. საარჩევნო კოდექსით, ზედმეტი ბიულეტენი პირდაპირი საფუძველია არჩევნების ბათილად ცნობისა. მე-13 უბანზე თამარ ხიდაშელმა მიიღო ჯარისკაცების 100%. ეს არის დადასტურებული ფაქტი – კომუნისტური და ჩრდილოკორეული. 100%-ით ხმის მიცემა ხდებოდა საბჭოთა კავშირის დროს და ხდება დღეს ჩრდილო კორეაში.

***– მესმის თქვენი, მაგრამ შეიძლება, ხიდაშელს იმდენად დიდ პატივს სცემენ, ყველამ მისცა ხმა?***

– არ შეიძლებოდა ასე მომხდარიყო.

***– რატომ?***

– ამავე უბანზე 59 ბიულეტენი ბათილად გამოცხადდა. 59-ვე ბიულეტენში შემოხაზული იყო ხიდაშელი და ინაშვილი. ორივე რომ იყო შემოხაზული, ამიტომ ჩაითვალა ბათილად.

კომისიის წევრები და დამკვირვებლები ადასტურებენ, რომ როდესაც ხმების დათვლა ხდებოდა, კომისიის წევრები საეჭვოდ იქცეოდნენ.

***– რით გამოიხატებოდა საეჭვო ქცევა?***

– რომელ ბიულეტენშიც შემოხაზული იყო ინაშვილი, დამატებით შემოხაზავდნენ ხიდაშელსაც. სხვა კანდიდატები – ანდღულაძე, დავითაია, საერთოდ, სხვა უბნებზე იღებდნენ 2 ან 3 ხმას. მაგრამ ამ უბანზე ერთმა მიიღო 33 ხმა, მეორემ – 22 ხმა. ჯარისკაცების ჩვენებები არსებობს (პირადად მქონდა (ჯარისკაცებთან საუბარი). დილიდან რომ დაიწყო არჩევნები, ჯარისკაცები შედიოდნენ და ხაზავდნენ, ვინც უნდოდათ.

10 საათისთვის გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვიღაც ჯარისკაცებმა შემოხაზეს ინაშვილი. ეს, საერთო ჯამში, როგორც შემდეგ დავთვალეთ, 39 ხმა აღმოჩნდა, რომელსაც ინაშვილი ჰქონდა შემოხაზული. ამის შემდეგ აღარ ენდნენ ჯარისკაცებს, გამოიტანეს ერთი ცალი ბიულეტენი და ე.წ. სომხური კარუსელი დაატრიალეს, ის ბიულეტენები კი, რომლებიც შემოხაზული ჰქონდათ, ხელმეორედ შემოხაზეს და გაბათილდა. ეს არის გაყალბება და სისხლის სამართლის 163-ე, 164-ე მუხლები, რომლებიც არჩევნების გაყალბებას გულისხმობს, არა მარტო თანამდებობრივი უფლებამოსილების გამოყენებას, არამედ საარჩევნო პროცესის გაყალბებას, რაც ხიდაშელმა და აგულაშვილმა ჩაიდინეს.

***– მაგრამ რას უზამთ იმ ფაქტს, რომ თქვენ გაასაჩივრეთ სასამართლოში, მაგრამ სასამართლომ არ მიიჩნია გაყალბებულად?***

– ჩვენ გვეგონა, საია ბოლომდე გამოგვყვებოდა ბიულეტენების გახსნისა და ხელახლა დათვლის მოთხოვნაში, თუმცა აღმოჩნდა ყალბი ახსნა-განმარტებითი ბარათი, არ იყო ჩანაწერთა წიგნში შეტანილი ახსნა-განმარტების შესახებ, მაგრამ საიამ რატომღაც თქვა, მერე რაო. ყუთში დაკუჭული ბიულეტენი აღმოჩნდა, რაც ეჭვის საფუძველი იყო.

***– პროკურატურაში საქმე აღიძრა.***

– კარგია, რომ პროკურატურამ აღძრა საქმე, მთელი ბიულეტენები გაიხსნება და თავიდან დაითვლება.

***– გამოძიებისაგან რას ელოდებით?***

– მე ვარ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი კომისიის მეთვალყურე წევრი, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. იმედი მაქვს, პროკურატურა დამკითხავს. მე არა მარტო ჩვენებას, არამედ მტკიცებულებებსაც წარვუდგენ. თუ რა როგორ ხდება.

***– ეს ინფორმაციები გოგი თოფაძეს მიეწოდა?***

– ვერ გეტყვით.

***– პატრიოტთა ალიანსი არ ესაუბრა დეპუტატს და ინფორმაცია არ მიაწოდა?***

– არა მგონია, პატრიოტთა ალიანსს მიეწოდებინა ინფორმაცია. მე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, მივაწოდე ბატონ თოფაძეს ინფორმაციები მისი მეილის საშუალებით მას შემდეგ, რაც ბატონმა თოფაძემ დაიწყო თავდაცვის მინისტრის მხილება ამ საკითხთან დაკავშირებით.

***– სხვადასხვა შეფასებით, თავდაცვის მინისტრის მიმართ ასეთი ბრალდებები ქვეყანას სახელს უტეხს და უცხოეთში ვიზიტების დროს ქვეყნისთვის სასიკეთო გადაწყვეტილების მიღებაზე უარყოფითად იმოქმედებს. ასევე იყო მოწოდებები, ჯარს თავი დაანებეთო. რა შედეგების მომტანი იქნება იმის მტკიცება ახლა, რომ ხიდაშელმა არჩევნები გააყალბა?***

– პროკურატურას საქმე აქვს აღძრული. დამტკიცდება, რომ არჩევნები გაყალბდა. თავისთავად ცხადია, გამარჯვებული თამარ ხიდაშელი კი არ იქნება, არამედ სხვა კანდიდატი. ერთი ადამიანი შეიცვლება მეორით. ამის დრო კიდევ არის.

***– ბოლო ინსტანცია მაინც სასამართლოა, პროკურატურის დასკვნა ბოლოს ხომ სასამართლომ უნდა დაამტკიცოს? ერთხელ უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილება ამ საქმეზე.***

– პრეცედენტი შეიქმნება, რომ არჩევნების გაყალბებისთვის ვიღაცა დაისაჯა და სამართლიანობა აღდგება. შეიძლება აღსრულება არც ღირდეს, რადგან უკვე ახალი არჩევნები მოვა, მაგრამ, სამართლიანობა რომ აღდგება და პრეცედენტი შეიქმნება, ესეც მნიშვნელოვანია.

***– სამართლიანობის აღდგენა და დასჯა რა ფორმით მოხდება?***

– სამართლიანობის აღდგენა ის იქნება, სასამართლო თუნდაც ერთი წლის მერე თუ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ არჩევნები გაყალბდა, თუმცა დეპუტატად ხიდაშელის მაგივრად სხვა ველარ მივა, რადგან უკვე ახალი მოწვევის პარლამენტი იქნება, მაგრამ ფაქტი ხომ დადასტურდება, რომ ხიდაშელმა წააგო. ამას პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნება, იურიდიულთან ერთად და მომავალ ოქტომბრის არჩევნებზე შეეცდებიან, აღარ გააყალბონ არჩევნები.

რაც შეეხება ჯარისკაცებით მანიპულირებას, სწორედ ეს არის სუფთა ჯარისკაცებით მანიპულირება. თინა ხიდაშელმა განაცხადა, ჯარისკაცების ხმებში 100% იმიტომ დაფიქსირდა ხიდაშელის სასარგებლოდ, რომ მეორე კანდიდატი პრორუსულ ძალას წარმოადგენს. სადმე რაიმე ინფორმაცია თუ არსებობს, რომ ოდესმე ქალბატონ ინაშვილს მიუღია რაიმე გადაწყვეტილება და გაუკეთებია განცხადება რუსეთის სასარგებლოდ? ასეთი ინფორმაცია არ არსებობს. ამიტომ რუსეთუმე და რუსეთის აგენტი სწორედ ხიდაშელია. ის ცდილობს, მანიპულაციით თავიდან აირიდოს მის ირგვლივ წარმოშობილი კანონიერი და ჯანმრთელი აჟიოტაჟი.

***– პოლიტიკური შედეგი რა შეიძლება იყოს?***

– პოლიტიკური შედეგი ის იქნება, რომ გამყალბებელი ორგანიზაციის ლიდერები, ხიდაშელი და ზოგადად რესპუბლიკური პარტია, კოალიციას ჩამოშორდებიან. ვფიქრობ, კოალიციის ხელმძღვანელობას ეყოფა გონიერება და რესპუბლიკურ პარტიას აიძულებს, წყნარად და მშვიდად კოალიცია და ხელისუფლება დატოვონ. ხავერდოვანი რევოლუცია უნდა მოხდეს.

***– რესპუბლიკელები არჩევნებს გაყალბებულად არ მიიჩნევენ. ზოგიერთი პროკურატურის დასკვნასაც ელოდება, თანაც, არა მგონია, რესპუბლიკელების კოალიციიდან წასვლის თაობაზე გადაწყვეტილება იქნეს მიღებული.***

– ტრაქტორების საქმესთან დაკავშირებით კირვალიძე გადადგა თანამდებობიდან, შემდეგ კი აღარ დაბრუნდა ხელისუფლებაში.

# „მიდი, გოგი, მიაწექი!“

## დიმიტრი ხუნდაძე: „კოალიცია არ დაიშლება“

შორენა მარსაგიშვილი

როგორც იქნა, დადგა ისტორიული დღე და საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს შეხვდნენ. მართალია, ერს პოლიტსაბჭოს სხდომა უფრო აინტერესებდა, მაგრამ მისი ჩატარების ზუსტი თარიღი ჯერ უცნობია.

არადა, პოლიტსაბჭოს სხდომა წინა კვირაში უნდა გამართულიყო, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრეს. ეტყობა, იმედი აქვთ, რომ იქამდე მრეწველებსა და რესპუბლიკელებს რისხვა გაუნელდებათ.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებს იმედი ჰქონდათ, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილსაც შეხვდებოდნენ, მაგრამ მათთვის მხოლოდ მოქმედმა პრემიერმა მოიცალა.

შეხვედრის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ.

ისინი „ქართული ოცნების“ ოფისთან შეიკრიბნენ და თოფაძის მხარდამჭერ ლოზუნგებს ისროდნენ, რესპუბლიკელებს კი წყევლა-კრულვას უთვლიდნენ.

აქციის მონაწილეები რესპუბლიკური პარტიისგან მმართველი გუნდის დატოვებას მოითხოვდნენ და იქვე აცხადებდნენ, რომ გოგი თოფაძის კოალიციიდან გაშვება დაუშვებელია.

აქციის მონაწილეებს ხელში ეკავათ ტრანსპარანტები წარწერით: „პარლამენტი რესპუბლიკელების გარეშე“, „დაითხოვეთ მუქთახორა,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# აფხაზეთში საბჭოთა ანაბრებზე კომპენსაციების გადახდა იწყება

მარიამ მჭედლიშვილი

**ანექსირებულ აფხაზეთში მძიმე სოციალური მდგომარეობაა. ამ ფონზე ხშირია სხვადასხვა დაპირება. მაგალითად, ცოტა ხნის წინ დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ პენსიების ზრდის კვალდაკვალ მოიმატებს საბიუჯეტო ორგანიზაციების ცალკეული კატეგორიის მუშაკთა ხელფასები. მისივე თქმით, რუსეთის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას მოგვარდა რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებულად მიღების საკითხიც. რუსეთის მოქალაქეობის საჩქაროდ მიღება განსაკუთრებით სჭირდებათ იმ პენსიონერებს, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ.**




აფხაზეთის მოსახლეობისათვის ადრე მიცემულ ძველ დაპირებებს ახალიც დაემატა – აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა წელს 30 მილიონი რუბლი გამოყო იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ანაბრები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდათ შემნახველ სალაროებში შეტანილი.

ანაბრებისათვის კომპენსაციებს პირველ რიგში მიიღებს ის, ვინც ანაბარი 1992 წლის 14 იანვრამდე შეიტანა. საუბარია 1971 წლამდე დაბადებულ მეანაბრეებზე, 1992-93 წლების ომის მონაწილეებზე, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. კომპენსაციები სბერბანკის მეშვეობით გაიცემა.

ანაბრების გაცემა 2017 წელს უნდა დასრულდეს. არ არის ცნობილი, თუ რამდენპროცენტიანი იქნება გასაცემი კომპენსაცია.

აფხაზეთის რეჟიმი, როგორც წესი, არ საუბრობს სოციალურ პრობლემებზე. ამაზე ყურადღებას ამახვილებს აფხაზური პრესა.

აფხაზური მედია ადრეც წერდა იმაზე, თუ რა დიდ პრობლემებს აწყდებიან ახალგაზრდები დაქორწინების შემდეგ. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა უბინაობაა.

აფხაზეთში არის ცარიელი ბინები და სახლები, იქიდან გამომდინარე, რომ ომის შემდეგ იქიდან უამრავი ქართველი და სხვა ეროვნების ადამიანი გამოდევნეს. ზოგიერთი მიტოვებული საცხოვრებელი უკანონოდ დაიკავეს, ზოგი დაინგრა.

დანგრეული სახლები და კორპუსებიც არ არის იშვიათობა დღევანდელ აფხაზეთში, თუმცა არის უბნები და ტერიტორიები, რომლებიც ახლად ნაომარს ჰგავს. ასეთად ითვლება ტყვარჩელი, რომელსაც ადარებენ სტალინგრადს ბრძოლის შემდეგ.

ტყვარჩელის საცხოვრებლების ნაწილი დანგრეულია, ინგრევა ან ცარიელია. ტყვარჩელის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აიდა ჩაჩხალია აცხადებს, რომ ქალაქში შეუსახლებელია ბინების 40%.

– ჩვენ ჩავატარეთ საცხოვრებელი ქონების ინვენტარიზაცია. სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილია ძირითადად ერთოთახიანი ბინები. სხვები გაყიდულია, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, მეპატრონეები ტყვარჩელში არ ცხოვრობენ, აქ არაა სამუშაო, – ამბობს იგი.

აფხაზური მედია მოუწოდებს ხელისუფლებას, განახორციელოს ტყვარჩელში პროგრამები, რომელიც სამუშაო ადგილებს შექმნის. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ფიქრი ახალგაზრდა ოჯახების იქ ჩასახლებაზე. ბინების გადაცემა მათთვის ჩუქების, იპოთეკის, განვადების, უვადო სარგებლობის წესებით შეიძლება. მთავარია, ტყვარჩელში დასაქმების პერსპექტივა გაჩნდეს.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ალექსი პეტრიაშვილზე თავდამსხმელებს პოლიცია მალე დაიჭერს“

თავისუფალი დემოკრატების გენერალურ მდივან ალექსი პეტრიაშვილს კიდევ ერთი ოპერაცია გაუკეთეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ალექსი პეტრიაშვილის მეუღლე ეკა მიშველაძემ ფეისბუქში გაავრცელა.

— ბუკას კიდევ ერთი ოპერაცია გაუკეთდა ახლა. ტყვიამ მუცლის ღრუში ნაწლავი დააზიანაო. ჰოდა, ეს სხეულის განზრახ დაზიანებაა თუ მკვლელობის მცდელობა?! შსს, ცოტა გამოცოცხლდით, — დაწერა ჟურნალისტმა ეკა მიშველაძემ.

ალექსი პეტრიაშვილთან ერთად თავდასხმის დროს საბურთალოს სასაფლაოზე ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე კახა საკანდელიძე იმყოფებოდა, რომელიც კურიერთან საუბრის დროს იხსენებს, რომ თავდამსხმელებმა მას იარაღი მიაბჯინეს და დაემუქრნენ.

საკანდელიძის თქმით, პეტრიაშვილს 2 პირი დაესხა თავს. ერთ-ერთი მათგანი ნიღბით იყო, მეორე კი — ნიღბის გარეშე, თუმცა, როგორც საკანდელიძე ამბობს, მას დამნაშავის ამოცნობა გაუჭირდება.

მისივე თქმით, ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ ერთ თავდამსხმელს ჰქონდა, ორივე მათგანი კი ხელკეტებით იყო აღჭურვილი.

საკანდელიძე იხსენებს, რომ დამნაშავეები მიზანმიმართულად ალექსი პეტრიაშვილისკენ გაემართნენ და დაესხნენ თავს.

◆ ◆ ◆

— ალექსი პეტრიაშვილის თავდასხმის დამკვეთებსაც და შემსრულებლებსაც ვიპოვით, სადაც არ უნდა წავიდნენ, — განაცხადა თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა ირაკლი ალასანიამ.

მისივე თქმით, ალექსი პეტრიაშვილზე თავდასხმა მთელ თავისუფალ დემოკრატებზე თავდასხმაა და მთელი პარტია სრულად არის მობილიზებული.

— მგონია, რომ ამ წუთებში ჩვენ გვისმენენ შემკვეთიც და შემსრულებლებიც. მინდა დავპირდე მათ, რომ ვერსად დაგვემალებიან. ვიპოვით, სადაც არ უნდა წავიდნენ და მათ მოუწევთ პასუხისგება ამ ცინიკურ, ბარბაროსულ აქტზე. როგორი არაადამიანი უნდა იყო, რომ მეგობრის საფლავზე მისულ ადამიანთან ზურგიდან მიხვიდე, თავს დაესხა და მიწაზე დაგდებული დაცხრილო. მე დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფერს მალე ფარდა აეხდება და ობიექტური ჭეშმარიტება დადგება.

ეს განცხადება ირაკლი ალასანიამ შაბათს, 27 თებერვალს, რუსთავი 2-ის გადაცემა კურიერში გააკეთა.

მან აღნიშნა, რომ ეს იყო მკვლელობის მცდელობა.

გუშინ, 28 თებერვალს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზვიად კვაჭანტირაძემ გამოთქვა იმედი, რომ დამნაშავეებს მალე დაიჭერენ.

— ჩვენ რამდენადაც ვიცით, სამართალდამცველი ორგანოები კვალზე ადგანან და უშუალო



**ირაკლი ალასანია: „როგორი არაადამიანი უნდა იყო, რომ მეგობრის საფლავზე მისული კაცი დაცხრილო“**

დამნაშავეებს აუცილებლად დაიჭერენ, — განაცხადა მან.

ის გამოეხმაურა თავისუფალი დემოკრატების მოთხოვნას პრემიერ-მინისტრთან და შს მინისტრთან შეხვედრის თაობაზე და აღნიშნა, რომ ხელისუფლების ჩართულობა, გამომდინარე იქიდან, რომ ლაპარაკია პოლიტიკური პარტიის გენერალურ მდივანზე, გარდაუვალი და აუცილებელია.

— პრემიერმა ძალიან სწორი განცხადება გააკეთა ამის თაობაზე, მაგრამ იმედია, რომ განცხადება არ დარჩება მხოლოდ თხოვნად და მოწოდებად და სამართალდამცველი ორგანოები უმოკლეს ვადებში — ჩვენ რამდენადაც ვიცით, კვალზე ადგანან — უშუალოდ დამნაშავეებს აუცილებლად დაიჭერენ. იმის იქით რა ხდება, ჩვენ არ ვიცით და არც არავინ იცის, — განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ.

მისივე თქმით, არცერთი წუთი არ უნდა იქნეს დაკარგული და შედეგი რაც შეიძლება მალე უნდა დაიდოს.

◆ ◆ ◆

ალექსი პეტრიაშვილის დაჭრის საქმეზე, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ საქმეზე, გამოძიება უნდა იყოს უსწრაფესი, სრულყოფილი და არ უნდა დაისვას არცერთი კითხვის ნიშანი.

ამის შესახებ ჟურნალისტებს საიას თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, ასეთი ტიპის დანაშაულებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

## ალექსი პეტრიაშვილს კიდევ ერთი ოპერაცია გაუკეთეს

— თუ პოლიტიკოსი, მაღალი ცნობადობის მქონე ადამიანი ვერ იგრძნობს თავს დაცულად შუა ქუჩაში დღისით და მზისით, რიგითი მოქალაქე უფრო დაუცველად იგრძნობს თავს. ამიტომ აუცილებელია ამ საქმეზე განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა, — აღნიშნა ნაცვლიშვილმა.

◆ ◆ ◆

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური გმობს ალექსი პეტრიაშვილზე თავდასხმას, მიუხედავად იმისა, რომ პეტრიაშვილმა თავის დროზე გააკრიტიკა და შეურაცხყოფა მიაყენა მას.

ამის შესახებ მეჭიაურმა ჟურნალისტებს ფრაქცია „ქართული ოცნებისა“ და პრემიერ-მინისტრის შეხვედრის დაწყებამდე განუცხადა. მან ასევე გამორიცხა რაიმე პოლიტიკური მოტივი ალექსი პეტრიაშვილის დაჭრაში.

— ეს საქმე ბოლომდე უნდა იქნეს გამოძიებული და ყველა დამნაშავე დაისაჯოს. პოლიტიკას გამოვრიცხავ და დანარჩენი არ ვიცი, დაველოდოთ გამოძიებას. მე მგონი, არ უნდა ჰქონდეთ თავისუფალ დემოკრატებს საფუძველი, იფიქრონ, რომ გამოძიება ტენდენციურია. თუ აქვთ რაიმე არგუმენტი, კი ბატონო.

მე, რა თქმა უნდა, ვგმობ ასეთ საქციელს, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე მან გამაკრიტიკა და შეურაცხყოფა მომაყენა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი საქციელი, ვისკენაც არ უნდა იყოს იგი მიმართული, გამართლებულია, ეს, რა თქმა უნდა, დასაგმობია, — განაცხადა მეჭიაურმა.

რაც შეეხება თავისუფალი დემოკრატების მოთხოვნას პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისა და გამოძიების მუხლის გადაკვალიფიცირების თაობაზე, მეჭიაურის თქმით, ყველა გამოძიების დაწყებაზე თუ პრემიერი ჩაერევა, შედეგად ვერაფერს მივაღწევთ.

◆ ◆ ◆

ყველას ინტერესშია, რომ ალექსი პეტრიაშვილის დაჭრის საქმე სწრაფად, ობიექტურად და სრულყოფილად იყოს გამოძიებული.

ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განუცხადა.

მისივე თქმით, წინასწარი შეფასებები მოტივთან დაკავშირებით არამართებულია.

— საჭიროა ყველა მხრიდან ისეთი განწყობა, რომ გამოძიებას მიეცეს შესაძლებლობა, რაც შეიძლება მოკლე დროში, სრულყოფილად და ობიექტურად გაეცეს ყველა მთავარ კითხვას



**კახა საკანდელიძე: „ერთს ნიღაბი ეკეთა, მეორე უნიღბოდ იყო“**

პასუხი. ჩვენ ყველას გვინდა, რომ ამ საქმეზე ყველა კითხვა იყოს პასუხგაცემული. ეს არის ჩვენი საერთო პოზიცია, — აღნიშნა ეკა ბესელიამ.

◆ ◆ ◆

ალექსი პეტრიაშვილის დაჭრის ფაქტს გმობს უმრავლესობის დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე, რომელიც რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებოდა.

— მე მინდა დავგმო ეს ფაქტი, მნიშვნელობა არ აქვს, ვის დაემართება, რომელი პოლიტიკური ძალის ლიდერს. მე ვერაფერს ვერ გამოვრიცხავ, მათ შორის ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური ანგარიშსწორებაც. ვინც ეს საშინელი დანაშაული ჩაიდინა, ყველანი უნდა იყვნენ დასჯილი, — განაცხადა დავით ლორთქიფანიძემ.

◆ ◆ ◆

ჟურნალისტი ნათია კობერიძე ალექსი პეტრიაშვილის დაჭრის ფაქტს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა. კობერიძე მიიჩნევს, რომ პეტრიაშვილისა და მიშველაძის ურთიერთობას ხელისუფლება შანტაჟისთვის იყენებდა, რაშიც, ჟურნალისტის თქმით, ბიძინა ივანიშვილი პირადად იყო ჩარეული.

— ბუკასა და ეკას რომანით ბინძურ მანიპულაციას ბიძინა პირადად ცდილობდა. ეკამ თავად აღიარა, რომ რაღაც ვიდეო ჰქონდათ ქოცებს და მისი ყოფილი კაცისთვის ჩვენებით აშანტაჟებდნენ. ეკა და ბუკა არ გატყდნენ. ბუკა ოპოზიციაში წავიდა, ეკამ პირველი არხის ბიძინა-პოლიტიკას უთხრა უარი. ბიძინა არ გაჩერდა და ახლა ბუკა სასიკვდილოდაც გაიმეტეს.

ბიძინა პირადად არის ამაში ჩარეული. პირადი ცხოვრებით შანტაჟის მცდელობები ალასანიას, გვარამიასა და სხვათა მიმართაც ცადეს.

ბიძინა ციხეში უნდა დალპეს! — წერს ნათია კობერიძე.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოში ორი ოპერატიული სარდლობა იქნება — დასავლეთისა და აღმოსავლეთის

## დიმიტრი შაშკინი: „გვეკაიფებით? ეს 2012 წელს გადაწყდა“



საქართველოს ორი ოპერატიული სარდლობა ექნება — დასავლეთისა და აღმოსავლეთის.

აღნიშნული გადაწყვეტილება, თავდაცვის მინისტრის განცხადებით, უშიშროების საბჭოს სხდომაზე იქნა მიღებული.

როგორც თინა ხიდაშელმა ჟურნალისტებს უთხრა, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში ფუნდამენტური რეფორმა მიმდინარეობს.

— ჩვენი მიზანია უფრო მობილური, ბრძოლისუნარიანი და ნატოს სისტემასთან თავსებადი იყოს საქართველოს შეიარაღებული ძალები. პრეზიდენტი გადაწყვეტილებას აწერს ხელს, რომლის მიხედვითაც, საქართველოში იქნება ორი ოპერატიული სარდლობა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მინისტრის თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება შესაძლებლობას იძლევა, რომ სარდლობის შიდა სტრუქტურები თავდაცვის მინისტრის ბრძანებით განისაზღვროს.

თინა ხიდაშელს რეფორმის დასასრულებლად ერთი თვე აქვს.

— თვის ბოლომდე მაქვს ვადა და მთავარი ამოცანაა, რომ ქართული შეიარაღებული ძალები იყოს ადვილად ოპერირებადი, არ არსებობდეს აბსოლუტური ცენტრალიზაცია და კონცენტრირება მოხდეს ყველანაირი რესურსის იმისთვის, რომ საფრთხის შემთხვევაში საქართველოს ერთი ნაწილი არ აღმოჩნდეს დაუცველი, როგორც აგვისტოს ომმა გვაჩვენა, რომ პრაქტიკულად შუაზე გაწყდა საქართველო. დიდი მადლობა ყველას ამ გადაწყვეტილებისთვის, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

◆ ◆ ◆

გუშინ, გვიან საღამოს, ამ გადაწყვეტილებას თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი გამოეხმაურა.

— ეს მთავრობა, მე მგონი, საზოგადოებას ეკაიფება. ახლა პრეზიდენტმა და თავდაცვის მინისტრმა განაცხადეს, რომ საქართველოში იქმნება დასავლეთისა და აღმოსავლეთის სარდლობები და ეს „გაასაღეს“, როგორც დიდი გარღვევა თავდაცვაში.

ვის ატყუებთ?!

ყველა ჯარისკაცმა და ოფიცერმა იცის, რომ ეს გადაწყვეტილება 2012 წლის დასაწყისში იყო მიღებული, სარდლობებიც იყო შექმნილი და სარდლებიც დანიშნული, ნატოს სარდლობასაც ამის თაობაზე ვაცნობეთ და ნატოს 2012 წლის ანგარიშში ეს მოხვდა, — წერს შაშკინი სოციალურ ქსელში.

# „მიდი, გოგი, მიაწექი!“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

არაფრის მაქნისი პარლამენტი“, „არასამთავრობოები რესპუბლიკელების წინააღმდეგ“, „მიდი, გოგი, მიაწექი!“.

◆ ◆ ◆

სანამ აქციის მონაწილეები გოგის რესპებზე მიწოლას აიძულებდნენ, კვირიკაშვილი და ფრაქცია „ქართული ოცნება“ მომავლის განჭვრეტითა და დაპირისპირების გაანალიზებით იყვნენ დაკავებული.

მათ მრეწველებისა და რესპების ჯახიც შეაფასეს.

ერს იმედი ჰქონდა, რომ სიტუაცია დაიძაბებოდა და მეოცნებეები რომელიმე მხარის პოზიციას დაიკავებდნენ. მოლოდინმა არ გაამართლა. პრემიერი და „ქართული ოცნება“ ამ ბრძოლაში მსაჯის, გნებავთ, გამშველებლის ფუნქციის შესრულებას აპირებენ.

ფრაქციის თავკაც გია ვოლსკის განცხადებით, აუცილებელია, მრეწველებსა და რესპუბლიკელებს შორის არსებული დაპირისპირება დიალოგის რეჟიმში გადავიდეს.

მისი თქმით, ამ აზრზეა პრემიერ-მინისტრიც. მან კორექტულობისკენ არა მხოლოდ მრეწველებს, არამედ რესპუბლიკელებსაც მოუწოდა.

— მნიშვნელოვანია, რომ განცხადებების დროს დავიცვათ კორექტულობა, გამომდინარე პოლიტიკური მნიშვნელობიდანაც და აუცილებლად კიდევ პიროვნული ურთიერთობებიდან, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძემ კი ამბავი გამოიტანა, რომ კოალიცია არ დაირღვევა.

— კოალიცია „ქართული ოცნება“ არ დაიშლება, — ასეთია ექიმისა და დეპუტატის პროგნოზი.

# ნამახვან ჰესების კასკადის პროექტის განხორციელებაში დაინტერესებულმა ინვესტორებმა პროექტის სამშენებლო ტერიტორია დაათვალიერეს



ნამახვან ჰესების კასკადის პროექტის განვითარებაში დაინტერესებულმა ინვესტორებმა 2016 წლის 25 თებერვალს დაათვალიერეს პროექტის სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები.

ინვესტორების წარმომადგენლებს გიდობას უწევდნენ სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის,“ სს „ნამახვანისა“ და პროექტის ძირითადი დიზაინის ავტორის — „Studio Ing. G Pietrangeli Srl“ — წარმომადგენლები. სტუმრებმა დაათვალიერეს ნამახვანისა და ტვიშის კაშხლებისა და ჰესის შენობების განთავსების ტერიტორიები, ასევე სს „ნამახვანის“ მიერ აშენებული ახალი ხიდი სოფელ ჟონეთში, რომელიც მოემსახურება ჰესის მშენებლობის დროს ელექტრომექანიკური მოწყობილობებისა და მასალების გადატანას.

იმავე დღეს, თბილისის დროით 18:00 საათზე, ჩატარდა შეხვედრა, სადაც პოტენციური ინვესტორების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცათ, დაესვათ ნებისმიერი შეკითხვა როგორც ინვესტორთა შერჩევის პროცედურებთან, ისე პროექტის ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით.

ინვესტორებს განმარტებებს აძლევდა სს „ნამახვანის“ წარმომადგენელი, დირექტორი გიორგი ჩაჩიბაია. ყველა დასმული შეკითხვა შესაბამისი პასუხებით უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება ელექტრონულად.

# პედიატრიულმა კლინიკა „გლობალმედმა“ ფარმაცევტულ კომპანია „ჰუმანითი ჯორჯიასგან“ ჰუმანიტარული დახმარება მიიღო

„ჰუმანითი ჯორჯიას“ გენერალურ დირექტორ ანდრეი კუზმას განცხადებით, კომპანია აგრძელებს კლინიკებისთვის ჰუმანიტარული დახმარების აქციას. დღემდე კომპანიის ჰუმანიტარული აქციის ადრესატები იყვნენ: საპატრიარქოსთან არსებული ამბულატორიული ცენტრი, რესპუბლიკური საავადმყოფო, უნივერსალური სამედიცინო კლინიკა (ყოფილი ონკოლოგიური ცენტრი), საოჯახო მედიცინის ცენტრი „მედსი“ და საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი. „ჰუმანითი ჯორჯიას“ მორიგი აქცია პედიატრიულ კლინიკა „გლობალმედში“ შედგა.

„ჩვენი აქციის ფარგლებში დღეს პედიატრიულ კლინიკა „გლობალმედს“ ვესტუმრეთ და ჰუმანიტარული დახმარების სახით პატარა პაციენტებისთვის საჭირო ის მედიკამენტები გადავეცით, რომლებიც მათი მკურნალობის პროცესისთვისაა აუცილებელი.

აქვე მინდა ვთქვა, რომ „ჰუმანითი ჯორჯიას“ უკლებლივ ყველა პრეპარატი დამზადებულია საუკეთესო ფარმაცევტულ ქარხნებში, რომლებიც ფლობენ GMP-ის სერტიფიკატს და მათ დამატებით ასევე გავლილი აქვთ ხარისხის სერიული კონტროლი.

იმედი მაქვს, ჩვენი დღევანდელი ჰუმანიტარული აქცია „გლობალმედის“ პატარა პაციენტებს ყოფას შეუმსუბუქებს. ჰუმანიტარული მიმართულება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია და კომპანია ამ მიმართულების განვითარებას მომავალშიც გეგმავს“, – აღნიშნა ანდრეი კუზმამ.



ჰოლდინგ „გლობალმედის“ გენერალურ დირექტორ გოჩა ცინცაძის თქმით, სასიამოვნოა ფაქტია, როცა ფარმაცევტული კომპანია კლინიკებისადმი ყურადღებას იჩენს და ჰუმანიტარულ აქციათა სერიას ატარებს. „რა თქმა უნდა, ჩვენი კლინიკისთვის მნიშვნელოვანია „ჰუმანითი ჯორჯიას“ მიერ განხორციელებული აქცია“. მიმაჩნია, რომ გარდა იმ სიახლეებისა, რომლებსაც ეს კომპანია საზოგადოებას ჰპირდება, საუბარია ხარისხიანი და ხელმისაწვდომი პრეპარატებით ბაზრის მომარაგებაზე, მათი ჰუმანიტარული მიმართულებაც აღსანიშნავი და დასაფასებელია.

ანდრეი კუზმას განცხადებით, „ჰუმანითი ჯორჯიას“ პრეპარატების მთავარი უპირატესობა, მაღალ ხარისხთან ერთად, არის ის, რომ არსებულ ანალოგებთან შედარებით, ისინი გაცილებით დაბალ ფასად არის წარმოდგენილი ქართულ ბაზარზე.

არსებული ინფორმაციით, გარდა 250-მდე დასახელების ხშირი მოხმარების ხარისხიანი პრეპარატის მისაღებ ფასად იმპორტისა, „ჰუმანითი ჯორჯიას“ ამბიციური გეგმები აქვს ადგილობრივი ფარმაცევტული წარმოების მიმართულებითაც. კერძოდ, კომპანიის გენერალური დირექტორის განცხადებით, საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობით ხორციელდება ერთობლივი პროექტი, რომელიც ულტრათანამედროვე ფარმაცევტული ქარხნის მშენებლობას ითვალისწინებს. ქარხანა აღჭურვილი იქნება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული ხარისხის კონტროლის ლაბორატორიითა და თანამედროვე სასაწყობო მეურნეობით.

„ჰუმანითი ჯორჯიას“ კარდიოლოგიური ჯგუფის პრეპარატები უკვე იყიდება ყველა წამყვან სააფთიაქო ქსელში და მათი შეძენა მომხმარებელს, ანალოგებთან შედარებით, მინიმუმ 30%-ით იაფად შეუძლია. უკვე დღეიდან კი სააფთიაქო ქსელებში სარეალიზაციოდ შევიდა „ჰუმანითი ჯორჯიას“ გინეკოლოგიური, ანტიფუნდალური, ანთების საწინააღმდეგო-ტკივილგამაყუჩებელი, გაციების საწინააღმდეგო, გასტროენტეროლოგიური, ანტიჰისტამინური და ანტიბიოტიკური ჯგუფების პრეპარატებიც.

ანდრეი კუზმას განცხადებით, „ჰუმანითი ჯორჯია“ – ეს არის დინამიკურად განვითარებადი კომპანია, რომელიც ამბიციური გეგმებით შემოდის ბაზარზე და სურს დამკვიდრდეს ქართულ ფარმაცევტულ ბიზნესში როგორც ხელმისაწვდომი, უსაფრთხო და ხარისხიანი პრეპარატების მიმწოდებელი კომპანია.

# რატომ არ ამთავრებენ გოგონები სკოლას?

## საქართველოში მე-9 კლასის დამთავრებამდე სწავლა 1.804-მა გოგონამ შეწყვიტა

2014-2015 წლებში საქართველოში მე-9 კლასის დამთავრებამდე სწავლა 1.804-მა გოგონამ შეწყვიტა. 17 წლის სამირა ბაირამოვა ცოლად შერთვის მიზნით 19 თებერვალს გაიტაცეს. გოგონას მშობლებმა პოლიციას იმავე დღეს მიმართეს, არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება კი, დიდი ძალისხმევისა და საპროტესტო აქციების შედეგად, მხოლოდ 4 დღის შემდეგ შეძლეს. საინფორმაციო ცენტრების ქსელის მიერ მოპოვებული ოფიციალური მონაცემებით, 2014-2015 სასწავლო წელს საქართველოში მე-9 კლასის დასრულებამდე სწავლა 1804-მა გოგონამ შეწყვიტა. კვლევის მიხედვით, გოგონები სკოლაში სწავლას ძირითადად ადრეულ ასაკში გათხოვების ან მოტაცების მაღალი რისკის გამო წყვეტენ.




სტატისტიკური მონაცემებით, რომელიც საინფორმაციო ცენტრების ქსელმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოითხოვა, 2011-2015 წლებში საქართველოში მე-9 კლასის დასრულებამდე სწავლა სულ 6277-მა გოგონამ მიატოვა.

გოგონების მიერ საბაზო საფეხურის დასრულებამდე სწავლის მიტოვების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისშია. 2014-2015 სასწავლო წელს თბილისის სკოლებში მე-9 კლასამდე სწავლა 672-მა გოგონამ მიატოვა. თბილისში ყველაზე მეტმა გოგონამ სწავლა შეწყვიტა 127-ე საჯარო სკოლაში – 19 გოგონა; 98-ე საჯარო სკოლაში – 19 გოგონა; 72-ე საჯარო სკოლაში – 18 გოგონა.

გოგონების მიერ სწავლის მიტოვების მაღალი მაჩვენებლით თბილისის შემდეგ ქვემო ქართლია. 2014-2015 სასწავლო წელს ამ რეგიონში მე-9 კლასის დასრულებამდე სწავლა 429 გოგონამ მიატოვა. მესამე ადგილზეა კახეთი, სადაც სწავლა საბაზო საფეხურის დასრულებამდე 206-მა გოგონამ შეწყვიტა. იმერეთი – 117; სამცხე-ჯავახეთი – 98; აჭარა – 89; შიდა ქართლი – 63; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 76; მცხეთა-მთიანეთი – 27; გურია – 17; აფხაზეთი – 9; რაჭა-ლეჩხუმი – 1.

2014-2015 სასწავლო წელს, სკოლების მიხედვით, საქართველოს მასშტაბით, მე-9 კლასის დასრულებამდე ყველაზე მეტმა გოგონამ (34 ბავშვი) სწავლა გარდაბნის მე-4 საჯარო სკოლაში მიატოვა. შემდეგ ადგილზეა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოს საჯარო სკოლა, სადაც სწავლა 27-მა გოგონამ შეწყვიტა; ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლაში – 21-მა გოგონამ; ქალაქ რუსთავის მე-12 საჯარო სკოლაში – 18-მა გოგონამ; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლაში – 17-მა გოგონამ; სოფელ ქვემო ბოლნისის 1-ლ საჯარო სკოლაში – 15-მა გოგონამ; დმანისის მე-2 საჯარო სკოლაში – 15; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალის 1-ლ საჯარო სკოლაში – 14; ახალქალაქის მე-2 საჯარო სკოლაში – 14; ქუთაისის მე-13 საჯარო სკოლაში – 14; დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კარაბულახის საჯარო სკოლაში – 14; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ განჯალის საჯარო სკოლაში – 13;

**„ყოველ ღამე მანქანაში მაუპატიურებდა. ამის ჩადენას მას მისი მეგობრებიც ურჩევდნენ, როგორც აუცილებელ პირობას, რომ მე მათთვის არ მეჩივლა და მასთან დავრჩენილიყავი“**

2014-2015 წლებში საქართველოში მე-9 კლასის დამთავრებამდე სწავლა 1804-მა გოგონამ შეწყვიტა.

კლებადია მე-9 კლასის დასრულებამდე გოგონების მიერ სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლაში. 2011-2012 წლებში ამ სკოლაში სწავლა 10-მა გოგონამ შეწყვიტა; 2012-2013 სასწავლო წელს 8 გოგონამ; 2013-2014 წლებში 3-მა გოგონამ; 2014 – 2015 სასწავლო წელს 5-მა გოგონამ. ყარაჯალამ არაერთხელ მიიქცია სამართალდამცავების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის განსაკუთრებული ყურადღება. გასულ წლებში ადრეულ ასაკში გათხოვების იძულების გამო სოფელში თავი ორმა გოგონამ მოიკლა, მესამე ბავშვს, 13 წლის გოგონას კი სკოლის მასწავლებლებმა მიუსწრეს და გადაარჩინეს.

საინფორმაციო ცენტრების ქსელმა განათლების სამინისტროდან მიღებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით კვლევა ჩაატარა იმ სოფლებში, სადაც მაღალია მე-9 კლასის დასრულებამდე გოგონების მიერ სწავლის შეწყვეტის რიცხვი. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ გოგონები მე-9 კლასის დასრულებამდე სკოლაში სწავლას ძირითადად ადრეულ ასაკში გათხოვების გამო წყვეტენ. ერთ-ერთ სოფელში, სადაც 2014-2015 სასწავლო წელს სწავლა მე-9 კლასის დასრულებამდე 12 გოგონამ შეწყვიტა, 7 გოგონა დაოჯახებულია, აქედან 2-ს უკვე შვილი ჰყავს, 2 გოგონა კი ორსულადაა. დანარჩენი 5 ბავშვიდან სამ გოგონას მშობლები სკოლაში არ უშვებენ, როგორც მათ განმარტეს, ცოლად შერთვის მიზნით მოტაცების მაღალი რისკის გამო.

აი, რა გვიამბო 15 წლის გოგონამ, რომელიც ცოლად შერთვის მიზნით 2013 წელს მოიტაცეს. „გზიდან მომიტაცეს, როცა სკოლიდან სახლში ვბრუნდებოდი, თვითონ 17 წლის იყო. მე გათხოვება ჯერ არ მინდოდა. სამნი იყვნენ, როცა მომიტაცეს. ყოველდღე მიცვლიდნენ ადგილსამყოფელს, რომ ჩემი ოჯახის წევრებს არ გაეგოთ, სად ვიყავი. ვერც გაქცევას ვახერხებდი. ყოველ ღამე მანქანაში მაუპატიურებდა. ამის ჩადენას მას მისი მეგობრებიც ურჩევდნენ, როგორც აუცილებელ პირობას, რომ მე მათთვის არ მეჩივლა და მასთან დავრჩენილიყავი. მანქანაში გარედან გვკეტავდნენ. წინააღმდეგობის გაწევას ვცდილობდი, მაგრამ უშედეგოდ. პოლიციამ სამი დღის შემდეგ მოგვაგნო და ოჯახში დამაბრუნეს“.

იმის მიუხედავად, რომ მოგვიანებით სამივე ბიჭი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა, მშობლებმა გოგონას სკოლაში სწავლის გაგრძელების საშუალება აღარ მისცეს.

საინფორმაციო ცენტრების ქსელი კვლევის შესახებ ვრცელ ინფორმაციას უახლოეს პერიოდში გამოაქვეყნებს.

* * *

სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა დანაშაულია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ოთხ წლამდე. იგივე ქმედება არასრულწლოვნის მიმართ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

კანონის მოქმედი რედაქციით ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან. ადრე მოქმედი წესი, რომლის თანახმადაც, მშობლების თანხმობით დაიშვებოდა 16 წელს მიღწეული პირების ქორწინება, 2016 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულია. გამონაკლისის სახით, 17 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მისი ნებით და მხოლოდ სასამართლოს თანხმობით, ისეთი პატივსადები მიზეზის არსებობისას, როგორიცაა ბავშვის დაბადება. ამასთან, ეს საგამონაკლისო ნორმა მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრამდე.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ცხრა წლამდე.

გარდა ამისა, სრულწლოვნის მიერ წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირისათვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეხვედრის შეთავაზება მის მიმართ აღნიშნული დანაშაულის ჩადენის მიზნით, როდესაც შეთავაზებას მოჰყვა ასეთი შეხვედრისკენ მიმართული ქმედებები, - ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლით, ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# უშიშროების საბჭომ სამხედრო ძალების ახალი სტრუქტურა განიხილა

ეროვნულმა უშიშროების საბჭომ საქართველოს სამხედრო ძალების ახალ სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხი განიხილა.

აღნიშნული საკითხის შესახებ მოხსენება საბჭოს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა და საქართველოს გენერალური შტაბის უფროსმა ვახტანგ კაპანაძემ წარუდგინეს.



– ვისაუბრეთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მნიშვნელოვან საკითხებზე. პირველ რიგში ეს იყო სამხედრო ძალების სტრუქტურა. ახალი სტრუქტურა დავაფუძნეთ, რომლის მიხედვითაც იქნება ორი სარდლობა – აღმოსავლეთისა და დასავლეთის.

აგრეთვე ვისაუბრეთ იმ ძალიან ნათელ და მტკიცე პოზიციაზე, რომელიც გვაქვს ნატოს მომავალი სამიტისა და საქართველოს ნატოში გაწევრების მიმართ.

ჩვენი პოზიცია და გზავნილი არის ძალიან ნათელი. საქართველო ესწრაფვის ნატოში გაერთიანებას და ამისთვის განხორციელდება ჩვენი მუშაობა მომავალი სამიტის თვალსაზრისით. ეს პოზიცია არის ერთიანი და ამ პოზიციას გაატარებს სახელმწიფოს ყველა უწყება, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სხდომის დასრულების შემდეგ.

ეროვნული უშიშროების საბჭო სამხედრო ძალების ახალ სტრუქტურას დასამტკიცებლად საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს.

საქართველოს კონსტიტუციის 98-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სამხედრო ძალების სტრუქტურას საქართველოს პრეზიდენტი ამტკიცებს.

**ნიუსპრესი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო



# ჰილარი კლინტონმა კაროლინაში მოიგო

კაროლინის შტატში დემოკრატიული პარტიის პრაიმერიზი ჩატარდა. ექსპერტები გამარჯვებას ჰილარი კლინტონს უწინასწარმეტყველებდნენ.

კლინტონი მეტოქეს მთელი 50 პროცენტით უსწრებდა. ამას თვით ბერნი სანდერსიც აღიარებდა.

– სამხრეთ კაროლინის შტატში ჩემი გამარჯვების შანსი ნულია, ამიტომ აქ პრაქტიკულად არ მიმუშავია, – თქვა სანდერსმა.

მართლაც, ჰილარი კლინტონმა დამაჯერებლად გაიმარჯვა. სანდერსმა მას პირველმა მოულოცა, თუმცა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა:

– ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა!

სამხრეთ კაროლინაში ჰილარი კლინტონმა ძირითადად იქაური აფროამერიკელების მხარდაჭერით გაიმარჯვა. ამით მან მდგომარეობა განიმტკიცა, თუმცა გადამწყვეტი, ალბათ, სამშაბათი იქნება, როცა პრაიმერიზი აშშ-ის 11 შტატში ჩატარდება.

– აქ მე რევანშს ავიღებ: ჩემი რეიტინგი 47 პროცენტია, მაშინ როცა მისის კლინტონს მხარს 44 პროცენტი უჭერს, – თქვა სანდერსმა.

# კადიროვი: „ჩემი დრო წავიდა“

ჩეჩნეთის რეჟიმის ხელმძღვანელმა რამზან კადიროვმა განაცხადა, რომ ხმები მისი გადადგომის შესახებ სიმართლეს შეეფერება.



– ჩემი დრო წავიდა, –თქვა კადიროვმა.

პუტინის მარიონეტმა აღნიშნა, რომ მის ადგილს დაიკავებს მისი გუნდის წევრი, რომელმაც იცის ეკონომიკა და სოციალური პრობლემების გადაჭრა შეუძლია.

თავად კადიროვი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს.

– მე რუსი პატრიოტი და პუტინის ჯარისკაცი ვარ! ჩემს სამშობლოს იმ უბანზე მოვემსახურები, სადაც ჩემი პრეზიდენტი პუტინი გამგზავნის, – აცხადებს კადიროვი.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154.

„მწვანე ოფისი“.

# რუსეთში ნემცოვის ხსოვნის დღე აღნიშნეს




ოპოზიციონერი რუსი პოლიტიკოსის ბორის ნემცოვის მკვლელობიდან ერთი წელი გავიდა.

რუსეთში ეს თარიღი მიტინგებითა და მსვლელობებით აღინიშნა. მოსკოვში ნემცოვის ხსოვნის აღსანიშნავ მარშში მონაწილეობა 24.000-მა ადამიანმა მიიღო.

პეტერბურგის ქუჩებში 10.000-მდე მოქალაქე გამოვიდა.

მსვლელობები ჩატარდა ნოვოსიბირსკში, ნიჟნი ნოვგოროდში, იაროსლავლში და სხვაგან.

რუსეთის რამდენიმე რეგიონში მარშებს ექსცესები მოჰყვა.

კემეროვოში მოხდა შეტაკება პოლიციელებსა და მანიფესტანტებს შორის. რამდენიმე მომიტინგე დაკავებულია. ნოვოსიბირსკში მერიამ მანიფესტანტებს ქალაქის ცენტრში მიტინგის ჩატარების უფლება არ მისცა. პიკეტებისა და საპროტესტო აქციების შემდეგ მიტინგი ნოვოსიბირსკის გარეუბანში ჩატარდა.

სამაგიეროდ, ნემცოვის მშობლიურ ნიჟნი ნოვგოროდში მიტინგებს არავითარი ექსცესი არ მოჰყოლია. ნიჟნი ნოვგოროდის მერმა არათუ მიტინგის ჩატარების უფლება გასცა, არამედ მასზე სიტყვითაც გამოვიდა.

– ნემცოვს პირადად ვიცნობდი, მასთან ერთად მრავალი წელი ვმუშაობდი, მისი ხსოვნის წინაშე კი თავს მოწიწებით ვხრი, – თქვა მან.

ნემცოვის ხსოვნის აქციები ჩატარდა კიევში, ვარშავაში, ვილნიუსში, რიგაში, ლონდონში, მიუნხენში, პარიზში და ა.შ.

# თურქეთში ქურთების საპროტესტო აქცია დაარბიეს

ქალაქ დიარბექირში, რომელიც უპირატესად ქურთებითაა დასახლებული, საპროტესტო აქცია გაიმართა.



ქურთმა მოსახლეობამ რაიონში სამხედროების ყოფნა გააპროტესტა.

აქცია მშვიდობიანად დაიწყო. მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც მანიფესტანტებმა პოლიციას ქვები დაუშინეს. პასუხად პოლიციამ წყლის ჭავლი და ხელკეტები გამოიყენა.

აქციის რამდენიმე ყველაზე აგრესიული მონაწილე დაკავებულია. მათ წინააღმდეგ ხულიგნობის ბრალდებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

# ვარშავაში ვალენსას მხარდამჭერი აქცია გაიმართა

პოლონეთის დედაქალაქში ლეხ ვალენსას მხარდამჭერი აქცია გაიმართა. მასში 50.000 ადამიანი მონაწილეობდა.

აქციაზე წაიკითხეს თავად ვალენსას მიმართვა, სადაც მან უარყო ბრალდება კომუნისტური რეჟიმის უშიშროებასთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

– ეს სრული ცილისწამებაა, – წერს ვალენსა.



# ნიუ-ჯერსის გუბერნატორმა ტრამპს დაუჭირა მხარი

ნიუ-ჯერსის გუბერნატორმა კრის კრისტიმ საჯაროდ განაცხადა, რომ მხარს დონალდ ტრამპს უჭერს.



ამან ბევრი გააოცა, რადგანაც კრისი ჩვეულებრივ კონსერვატორ რესპუბლიკელად აღიქმებოდა, ტრამპის გამონათქვამები და საქციელი კი რესპუბლიკელების ტრადიციებს არ ემთხვევა.

– ტრამპი ერთადერთია, ვისაც ჰილარი კლინტონის დამარცხება შეუძლია, – ასე ახსნა კრისტიმ თავისი საქციელი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## განცხადებები

### მკურნალობა

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# დინამო იგებს, ტორპედო გაჩემპიონებაში ეხმარება

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**საბურთალო – დინამო (თბ) 0:4**

**თბილისი. მიხეილ მესხი. სათადარიგო**

0:1 ჯილაური (24), 0:2, 0:3 ქვილითაია (25, 60), 0:4 თევზაძე (63)

**საბურთალო:** გოშაძე, თოთაძე, მარგველაშვილი, იაშვილი, ცაწკრიალაშვილი (ელვინი 46), ხარაიშვილი, სოფრომაძე (მამუჩაშვილი 66), ბიძინაშვილი, ალთუნაშვილი (კოხრეიძე 46), ფანცულაია, გოშთელიანი

**დინამო:** ჰრდლიჩკა, ამისულაშვილი, ზ.ჭელიძე, უ.ლობჟანიძე, გველესიანი, თევზაძე (ალვარო 71), პარუნაშვილი, ჯილაური, კიტეიშვილი (ჯანელიძე 76), ჭანტურიშვილი, ქვილითაია (არაბული 61)

შეხვედრა დინამოელთა სრული უპირატესობით წარიმართა და იურაი იარაბეკის გუნდმა მორიგი თბილისური დერბი დაასრულა სათავისოდ. ანგარიში კი იგივე გამეორდა, რაც ამ გუნდებს შორის პირველ წრეში დაფიქსირდა – დინამომ ოთხი უპასუხო გოლით დაამარცხა საბურთალო.

დერბი მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს. გამოსარჩევია გიორგი ხარაიშვილის დარტყმა, რომელსაც უჩა ლობჟანიძე გადაეღობა და დინამოელთა კარი ხიფათისგან იხსნა.

მე-20 წუთზე ვახო ჭანტურიშვილმა, რომელმაც მთელი მატჩი საკმაოდ აქტიურად და კარგად ჩაატარა, ოთარ კიტეიშვილს გადააწოდა ბურთი, დინამოელთა ნახევარმცველი მარცხენა ფრთიდან შეიჭრა საჯარიმოში, მის დარტყმულს კი ბოლო მომენტში მასპინძელთა მცველმა შეუცვალა მიმართულება. ამ მომენტიდან დინამოელები სათამაშო უპირატესობას დაეუფლნენ და შეხვედრის ბოლომდე აღარ დაუთმიათ უპირატესობა.

24-ე წუთზე გიორგი თევზაძემ საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში, ზუსტი დარტყმით კი ჯაბა ჯილაური გამოირჩა. ერთ წუთში სტუმრებმა მეორედ აიღეს საბურთალოს კარი. ოთარ კიტეიშვილის ჩაწოდებული ბურთი გიორგი ქვილითაიამ თავით გადაგზავნა კარში – 0:2.

ორიოდე წუთში ჯერ ქვილითაიას დარტყმული ოდნავ აცდა ოთო გოშაძის კარს, ხოლო შემდეგ მომენტში თავად მეკარემ იხსნა საბურთალო, როცა კიტეიშვილის ტექნიკური დარტყმული მოიგერია.

მეორე ტაიმი კვლავ დინამოელთა შეტევებით დაიწყო. 58-ე წუთზე ჯაბა ჯილაურის ძლიერად დარტყმული უკუაგდო გოშაძემ, ორიოდე წუთში კი ვახო ჭანტურიშვილისა და გიორგი ქვილითაიას ტექნიკურ თამაშს ამ უკანასკნელის მეორე გოლი მოჰყვა საბურთალოს კარში – 0:3.



გატანილი გოლის შემდეგ ლიბორ ჰრდლიჩკამაც იყოჩაღა, როცა გიორგი ხარაიშვილის დარტყმული მოიგერია. 63-ე წუთზე კი გიორგი თევზაძემ შორი მანძილიდან ლამაზად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და მატჩის საბოლოო ანგარიში 0:4 დააფიქსირა.

71-ე წუთზე ბოლო გოლის ავტორის ნაცვლად მოედანზე დინამოელთა ესპანელი ნახევარმცველი მიკელ ალვარო გამოჩნდა.

დერბის დასრულებამდე კიდევ ორი სახიფათო მომენტია აღსანიშნავი. ბაჩანა არაბულის შორი მანძილიდან ტექნიკურად შესრულებული დარტყმა, რომელიც ოდნავ გადასცდა მასპინძელთა კარის ხარიხას და ბოლო წუთებზე გიორგი ჯანელიძის მიერ საბურთალოს კარის ძელს მოხვედრილი ბურთი.

**დილა – ტორპედო 0:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1 კაპანაძე (69)

**დილა:** მუჯირიშვილი, კვირკველია, ხურცილავა, ბაგაევი, ქარქუზაშვილი, ძარია (მაშუკოვი 84), ფალავანდიშვილი, წიქარიძე (ნონიკაშვილი 55), კვირკვია (ერისთავი 46), მარცვალაძე, მოდებაძე

**ტორპედო:** კვასხვაძე, მირცხულავა, ქიმაძე, ტაბატაძე, მამასახლისი, კლიმიაშვილი, ნერგაძე, კაპანაძე (ფურცხვანიძე 74), სალრიშვილი (ჭიჭინაძე 90), წილოსანი (ტულუში 36), შინდაგორიძე

გორის დილამ პრაქტიკულად უკვე დაკარგა ჩემპიონობის შანსი. ტორპედოსთან საშინაო მარცხის შემდეგ დინამოს უკვე 10 ქულით ჩამორჩება. დედაქალაქური გუნდი კი ამ უპირატესობის გამნიავებელი არ ჩანს.

გოლი კი ასე გავიდა: ლაშა შინდაგორიძის დარტყმული ჯარიმა ხარიხას მოხვდა, ხოლო დამატებაზე თორნიკე კაპანაძემ ყველას დაასწრო და თავით დაუცველ კუთხეში გადაგზავნა.

**საპოვნელა – გურია 0:2**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

0:1 პანებენგ-ფოდუოპი (15), 0:2 შტანდერი (90)

**საპოვნელა:** სომხიშვილი, ოდიკაძე, ჩიკვილაძე, ლ.ჭელიძე (ენდელაძე 46), ვაჭარაძე (ბუხაიძე 68), ბოლქვაძე, კოშკაძე, შარიქაძე, მიქაბერიძე (ტყეშელაშვილი 46), მაკარიძე, დვალი

**გურია:** იმერლიშვილი, ნუნიესი, ბენეტი, ჩადუნელი (კილაძე 80), ნოზაძე, პანებენგ-ფოდუოპი (შტანდერი 64), ზოზულია, მოროზენკო, კვეკვესკირი, გამყრელიძე (ჯამალ როდრიგესი 87), ალავერდაშვილი

ზამთრის პაუზის დროს საპოვნელამ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი დაიმატა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ გამოდგა და 3 ტურში ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.

გურიის ლეგიონერები კი ჯერჯერობით ამართლებენ. ზესტაფონშიც მათი გოლებით მოიგეს.

**მერანი – ჩიხურა 3:2**

**მარტვილი. მურთაზ ხურცილავა**

1:0, 2:0 საბანაძე (11, 51), 2:1 ჭანკოტაძე (59), 3:1 გოგუაძე (87), 3:2 ჩიკვაიძე (90)

**მერანი:** მამალაძე, მელიავა, ციცხვაია, გიორგაძე, კიკნაველიძე, ტეიდი, ხაბელაშვილი (გეგია 75), ჯღამაია (აშორტია 64), ჯიქია, უგულავა (გოგუაძე 46), საბანაძე

**ჩიხურა:** კუპატაძე, კაშია, რეხვიაშვილი, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, ჭანკოტაძე (მუმლაძე 83), კორიფაძე, გაბაძე (სარდალიშვილი 20), თ.კირკიტაძე (დ.კირკიტაძე 52), კუჭუხიძე, ენუქიძე

7 ქულა აიღო 3 ტურში მერანმა და გასავარდნ ზონას დაუსხლტა, თუმცა გადათამაშების თავიდან ასაცილებლად დიდი ბრძოლა მოუწევს.

ჩიხურაც გვაოცებს თავისი თამაშით – შეუძლია ერთი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატაროს და შემდეგ ტურში აუტსაიდერთან დამარცხდეს.

მარტვილელებს ზამთარში დამატებულმა ნიკოლოზ საბანაძემ მოაგებინა, რომელმაც დუბლი მიითვალა. კიდევ ერთი ჰოლი გოგუაძის ანგარიშზეა, ხოლო საჩხერელთაგან თავი ჭანკოტაძემ და ჩიკვაიძემ გამოიჩინეს.

**კოლხეთი – დინამო (ბთ) 0:1**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1 შონია (18)

**კოლხეთი:** ძაგანია, ლ.კაკულია (შალიკაშვილი 80), ჩაკვეტაძე, თ.კაკულია, თუხარელი, გოგონაია, გურეშიძე, პოლულიახი (კვარაცხელია 76), ჟიშკარიანი, ნიქაბაძე, ტუღუში (გიგაური 53)

**დინამო (ბთ):** ალავიძე, ქორიძე, მიხაილოვიჩი, ტვილდიანი, შონია, ქავთარაძე, გოგიტიძე, დიასამიძე (კაშია 75), ფონიავა (გაბედავა 65), ვარშანიძე, კომაზეცი (თევდორაძე 89)

მეორე წრეში მოუმატა ზღვისპირულმა გუნდმა და კარგადაც სარგებლობდა სხვების წაფორხილებით. დინამო გვარიანად ჩამორჩებოდა ევროსაგზურებისთვის მებრძოლ გუნდებს, მაგრამ ახლა ეს სხვაობა მხოლოდ 1 ქულაა და შოთა ჭეიშვილის გუნდს კარგი შანსი აქვს, ისევ ითამაშოს ევროპაში.

**შუქურა – სიონი 0:0**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

**შუქურა:** ჯიოევი, ბრაჭული, მალანია, გეგეჭკორი, პუკანიჩი (ურიდია 66), ჩალაძე, გეწაძე (დოლიძე 46), თარხნიშვილი, მოსიაშვილი, კომახიძე, ლობჟანიძე (კაკალაძე 79)

**სიონი:** მერლანი, დ.ფოფხაძე (შულაია 73), ვ.კილასონია, გურეშიძე, რაზმაძე, გვალია, გაფრინდაშვილი, ჯაფიაშვილი, გოგინაშვილი (ლუის ალბერტო 66), მანჯგალაძე (გოგობერიშვილი 66), ტატანაშვილი

ეს ანგარიში მასპინძლებს უფრო აწყობდათ. შუქურას დიდი ამბიცია არ აქვს, ხოლო სიონმა 2 ქულა დაკარგა და ევროსაგზურისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გაურთულდა.

**ზუგდიდი – ცხინვალი 1:1**

**ზუგდიდი. ბაიას ბაზა**

1:0 კოვალენკო (58), 1:1 ლექვთაძე (64)

**ზუგდიდი:** ზარქუა, გაგოშიძე, ნარმანია (ქობალია 46), ჩუკვურა, ქანთარია, წურწუმია (თუთბერიძე 84), ჩებოტარევი, მალანია (სამუშია 46), ქირია, კოვალენკო, ჩანადირი

**ცხინვალი:** ნადირაძე, ჯაფარიძე, მაისაშვილი, კაკუბავა, ცერცვაძე, ნოზაძე (ბეჭვაია 46), გორგიაშვილი, ქარდავა, მახარობლიძე (ჯიშკარიანი 78), ივანიშვილი, ისიანი (ლექვთაძე 59)

**გაძევება:** ქანთარია (90), ჯიშკარიანი (90)

ზუგდიდმა ამ ქულით ბოლო ადგილი საპოვნელას გადაულოცა, თუმცა კოვალენკოს გოლი რომ შეენარჩუნებინა, მერანსაც უკან მოიტოვებდა. ქულების დაკარგვა არც ცხინვალის გეგმებში შედიოდა, მაგრამ ზუგდიდელთა საქმემ ასე მოითხოვა.

**ლოკომოტივი – სამტრედია 0:1**

**თბილისი. დინამო არენა**

0:1 ზივზივაძე (47)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ფოფხაძე, მახარაძე, გეთიაშვილი, ჩიტეიშვილი, ბენაშვილი (ჩიხლაძე 31), სულთანიშვილი (სამურკასოვი 72), ქიქავა, არდაზაშვილი (კიკნაძე 61), ცხადაძე, გავაშელიშვილი

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, მჭედლიშვილი, შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, ცნობილაძე, ენდელაძე, მარკოზაშვილი, რაჟამაშვილი, სიხარულიძე (იოსელიანი 64), ზივზივაძე (ახალაძე 88)

სამტრედიაც აქტიურად ჩაერთო ევროსაგზურებისთვის ბრძოლაში, დინამო არენაზე კი ბუდუ ზივზივაძის სამქულიანი დარტყმით მოიგო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 18 | 16 | 1 | 1 | 51-15 | 49 |
| 2.დილა | 18 | 12 | 3 | 3 | 33-15 | 39 |
| 3.ცხინვალი | 18 | 10 | 5 | 3 | 37-22 | 35 |
| 4.სამტრედია | 18 | 11 | 2 | 5 | 37-20 | 35 |
| 5.სიონი | 18 | 10 | 4 | 4 | 35-21 | 34 |
| 6.დინამო (ბთ) | 18 | 9 | 6 | 3 | 31-17 | 33 |
| 7.ჩიხურა | 18 | 9 | 3 | 6 | 31-17 | 30 |
| 8.ტორპედო | 18 | 7 | 5 | 6 | 29-28 | 26 |
| 9.შუქურა | 18 | 6 | 6 | 6 | 18-17 | 24 |
| 10.საბურთალო | 18 | 6 | 3 | 9 | 25-38 | 21 |
| 11.კოლხეთი | 18 | 5 | 3 | 10 | 14-24 | 18 |
| 12.ლოკომოტივი | 18 | 4 | 3 | 11 | 20-27 | 15 |
| 13.გურია | 18 | 3 | 6 | 9 | 15-30 | 15 |
| 14.მერანი | 18 | 3 | 2 | 13 | 16-44 | 11 |
| 15.ზუგდიდი | 18 | 1 | 6 | 11 | 13-38 | 9 |
| 16.საპოვნელა | 18 | 2 | 2 | 14 | 11-43 | 8 |

## შედეგები

### 27 თებერვალი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-სანდერლენდი ............ 1:0
ლესტერი-ნორვიჩი ............ 1:0
საუთჰემპტონი-ჩელსი ............ 1:2
სტოკი-ასტონ ვილა ............ 2:1
უოტფორდი-ბორნმუთი ............ 0:0
ვესტ ბრომვიჩი-კრ.პალასი ............ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 27 | 16 | 8 | 3 | 49-29 | 56 |
| 2.ტოტენჰემი | 26 | 14 | 9 | 3 | 47-20 | 51 |
| 3.არსენალი | 26 | 15 | 6 | 5 | 41-23 | 51 |
| 4.სიტი | 26 | 14 | 5 | 7 | 48-28 | 47 |
| 5.ვესტ ჰემი | 27 | 11 | 10 | 6 | 41-31 | 43 |
| 6.მანჩესტერი | 26 | 11 | 8 | 7 | 33-24 | 41 |
| 7.საუთჰემპტონი | 27 | 11 | 7 | 9 | 35-26 | 40 |
| 8.სტოკი | 27 | 11 | 6 | 10 | 29-33 | 39 |
| 9.ლივერპული | 26 | 10 | 8 | 8 | 38-36 | 38 |
| 10.უოტფორდი | 27 | 10 | 7 | 10 | 29-28 | 37 |
| 11.ჩელსი | 27 | 9 | 9 | 9 | 40-37 | 36 |
| 12.ევერტონი | 26 | 8 | 11 | 7 | 46-35 | 35 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 27 | 9 | 8 | 10 | 27-34 | 35 |
| 14.კრ.პალასი | 27 | 9 | 5 | 13 | 29-35 | 32 |
| 15.ბორნმუთი | 27 | 7 | 8 | 12 | 30-44 | 29 |
| 16.სუონსი | 26 | 6 | 9 | 11 | 24-34 | 27 |
| 17.ნორვიჩი | 27 | 6 | 6 | 15 | 30-51 | 24 |
| 18.ნიუკასლი | 26 | 6 | 6 | 14 | 27-49 | 24 |
| 19.სანდერლენდი | 27 | 6 | 5 | 16 | 32-51 | 23 |
| 20.ასტონ ვილა | 27 | 3 | 7 | 17 | 21-48 | 16 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რეალი-ატლეტიკო ............ 0:1
ხეტაფე-სელტა ............ 0:1
ხიხონი-ესპანიოლი ............ 2:4
ბეტისი-რაიო ............ 2:2
სოსიედადი-მალაგა ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 20 | 3 | 2 | 67-20 | 63 |
| 2.ატლეტიკო | 26 | 18 | 4 | 4 | 36-11 | 58 |
| 3.რეალი | 26 | 16 | 6 | 4 | 71-25 | 54 |
| 4.ვილიარეალი | 25 | 14 | 7 | 4 | 30-18 | 49 |
| 5.სელტა | 26 | 12 | 5 | 9 | 39-44 | 41 |
| 6.სევილია | 25 | 11 | 8 | 6 | 36-26 | 41 |
| 7.ეიბარი | 26 | 10 | 6 | 10 | 40-35 | 36 |
| 8.ბილბაო | 25 | 10 | 5 | 10 | 35-35 | 35 |
| 9.სოსიედადი | 26 | 9 | 7 | 10 | 36-35 | 34 |
| 10.დეპორტივო | 25 | 6 | 14 | 5 | 33-31 | 32 |
| 11.მალაგა | 26 | 8 | 8 | 10 | 23-23 | 32 |
| 12.ვალენსია | 25 | 7 | 10 | 8 | 30-26 | 31 |
| 13.ბეტისი | 26 | 6 | 10 | 10 | 21-36 | 28 |
| 14.ესპანიოლი | 26 | 8 | 4 | 14 | 26-50 | 28 |
| 15.ხეტაფე | 26 | 7 | 5 | 14 | 26-40 | 26 |
| 16.რაიო | 26 | 6 | 8 | 12 | 36-53 | 26 |
| 17.ლას პალმასი | 26 | 6 | 6 | 14 | 25-40 | 24 |
| 18.ხიხონი | 26 | 6 | 6 | 14 | 30-46 | 24 |
| 19.ლევანტე | 25 | 5 | 5 | 15 | 24-45 | 20 |
| 20.გრანადა | 25 | 5 | 5 | 15 | 26-51 | 20 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-ბაიერნი ............ 0:2
ჰამბურგი-ინგოლშტადტი ............ 1:1
შტუტგარტი-ჰანოვერი ............ 1:2
ვერდერი-დარმშტადტი ............ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 23 | 20 | 2 | 1 | 58-11 | 62 |
| 2.დორტმუნდი | 22 | 16 | 3 | 3 | 54-24 | 51 |
| 3.ჰერტა | 23 | 11 | 6 | 6 | 31-24 | 39 |
| 4.ლევერკუზენი | 22 | 10 | 5 | 7 | 31-23 | 35 |
| 5.გლადბახი | 22 | 11 | 2 | 9 | 43-38 | 35 |
| 6.შალკე | 22 | 10 | 4 | 8 | 31-29 | 34 |
| 7.მაინცი | 22 | 10 | 3 | 9 | 29-28 | 33 |
| 8.ვოლფსბურგი | 23 | 8 | 7 | 8 | 32-31 | 31 |
| 9.ინგოლშტადტი | 23 | 8 | 6 | 9 | 17-24 | 30 |
| 10.კიოლნი | 23 | 7 | 8 | 8 | 24-29 | 29 |
| 11.ჰამბურგი | 23 | 7 | 7 | 9 | 26-31 | 28 |
| 12.შტუტგარტი | 23 | 8 | 4 | 11 | 35-44 | 28 |
| 13.დარმშტადტი | 23 | 6 | 7 | 10 | 25-36 | 25 |
| 14.აუგსბურგი | 22 | 6 | 6 | 10 | 24-31 | 24 |
| 15.აინტრახტი | 22 | 5 | 7 | 10 | 27-37 | 22 |
| 16.ვერდერი | 23 | 5 | 6 | 12 | 27-46 | 21 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 22 | 3 | 9 | 10 | 22-33 | 18 |
| 18.ჰანოვერი | 23 | 5 | 2 | 16 | 21-38 | 17 |

**იტალია. სერია ა**

ემპოლი-რომა ............ 1:3
მილანი-ტორინო ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 26 | 18 | 4 | 4 | 46-15 | 58 |
| 2.ნაპოლი | 26 | 17 | 6 | 3 | 54-21 | 57 |
| 3.რომა | 27 | 15 | 8 | 4 | 55-28 | 53 |
| 4.ფიორენტინა | 26 | 16 | 4 | 6 | 47-26 | 52 |
| 5.ინტერი | 26 | 14 | 6 | 6 | 34-23 | 48 |
| 6.მილანი | 27 | 13 | 8 | 6 | 39-28 | 47 |
| 7.სასუოლო | 26 | 9 | 11 | 6 | 32-31 | 38 |
| 8.ლაციო | 26 | 10 | 7 | 9 | 34-34 | 37 |
| 9.ბოლონია | 26 | 10 | 4 | 12 | 29-31 | 34 |
| 10.ემპოლი | 27 | 9 | 7 | 11 | 33-40 | 34 |
| 11.ტორინო | 27 | 8 | 8 | 11 | 33-34 | 32 |
| 12.კიევო | 26 | 8 | 7 | 11 | 31-36 | 31 |
| 13.ატალანტა | 26 | 7 | 8 | 11 | 25-30 | 29 |
| 14.ჯენოა | 26 | 7 | 7 | 12 | 27-31 | 28 |
| 15.უდინეზე | 26 | 7 | 6 | 13 | 22-40 | 27 |
| 16.პალერმო | 26 | 7 | 5 | 14 | 27-47 | 26 |
| 17.სამპდორია | 26 | 6 | 7 | 13 | 37-46 | 25 |
| 18.ფროზინონე | 26 | 6 | 5 | 15 | 26-51 | 23 |
| 19.კარპი | 26 | 4 | 8 | 14 | 23-43 | 20 |
| 20.ვერონა | 26 | 2 | 12 | 12 | 24-43 | 18 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონპელიე-ლილი ............ 3:0
გენგამი-ანჟე ............ 2:2
ტრუა-ლორიანი ............ 0:1
რეიმსი-ბორდო ............ 4:1
ტულუზა-რენი ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 27 | 23 | 4 | 0 | 67-13 | 73 |
| 2.მონაკო | 27 | 13 | 10 | 4 | 40-30 | 49 |
| 3.ნიცა | 28 | 11 | 8 | 9 | 39-32 | 41 |
| 4.რენი | 28 | 10 | 11 | 7 | 36-33 | 41 |
| 5.სტ.ეტიენი | 27 | 12 | 5 | 10 | 32-30 | 41 |
| 6.ლიონი | 27 | 11 | 6 | 10 | 38-29 | 39 |
| 7.ნანტი | 26 | 10 | 9 | 7 | 26-24 | 39 |
| 8.კაენი | 27 | 12 | 3 | 12 | 28-35 | 39 |
| 9.ანჟე | 28 | 10 | 8 | 10 | 29-29 | 38 |
| 10.ლორიანი | 28 | 9 | 10 | 9 | 40-41 | 37 |
| 11.ბასტია | 27 | 11 | 4 | 12 | 27-29 | 37 |
| 12.ბორდო | 28 | 9 | 10 | 9 | 37-43 | 37 |
| 13.მარსელი | 27 | 8 | 12 | 7 | 37-28 | 36 |
| 14.მონპელიე | 28 | 10 | 5 | 13 | 36-33 | 35 |
| 15.ლილი | 28 | 7 | 13 | 8 | 21-23 | 34 |
| 16.გენგამი | 28 | 8 | 8 | 12 | 33-40 | 32 |
| 17.რეიმსი | 28 | 8 | 8 | 12 | 32-39 | 32 |
| 18.გაზელეკი | 27 | 6 | 10 | 11 | 28-38 | 28 |
| 19.ტულუზა | 28 | 4 | 10 | 14 | 27-47 | 22 |
| 20.ტრუა | 28 | 2 | 8 | 18 | 20-57 | 14 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ტვენტე-გრონინგენი ............ 2:0
კამბური-ზვოლე ............ 1:0
პსვ-დენ ჰააგი ............ 2:0
ვიტესი-ტილბურგი ............ 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-რიუ ავე ............ 1:2
აროუკა-ბრაგა ............ 0:0
ეშტორილი-სეტუბალი ............ 3:0

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

აბერდინი-სტ.ჯონსონი ............ 1:1
მოზერველი-არტიკი ............ 3:1
როსი-დ.იუნაიტედი ............ 0:3
დანდი-ინვერნესი ............ 1:1
ჰართსი-კილმანროკი ............ 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ლუცერნი ............ 3:1
ციურიხი-იანგ ბოიზი ............ 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-შტურმი ............ 0:1
მატერსბურგი-ვოლფსბერგერი ............ 1:1
ალტახი-ადმირა ............ 1:2

**ბელგია. პრო ლიგა**

ლეუვენი-ოსტენდე ............ 4:1
ვესტერლო-მუსკრონი ............ 2:2
მეხელენი-კორტრაიკი ............ 0:2
სტ.ტრუიდენი-ვარეგემი ............ 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კალონისი-პლატანიასი ............ 2:1
პანეთოლიკოსი-ქსანთი ............ 2:2
პაოკი-ასტერასი ............ 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

მერსინი-ქონია ............ 0:2
რიზე-ქაშიმფაშა ............ 2:0
ესკიშეჰირი-ბურსა ............ 0:1
ტრაბზონი-ოსმანლი ............ 1:2

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ზლინი-ბოლესლავი ............ 0:2
პრჟიბრჟამი-ბოჰემიანსი 1905 ............ 0:0
სლოვაცკო-იიჰლავა ............ 3:1
ტეპლიცე-ლიბერეცი ............ 0:3
იაბლონეცო-ბრნო ............ 3:0
სიგმა-პლზენი ............ 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლენჩნა-კორონა ............ 3:2
ლეხია-პიასტი ............ 3:1
ვისლა-პოდბესკიჟიე ............ 1:2

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-სონდერიისკე ............ 1:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლაძემ*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# სუპერლიგაში აუტსაიდერი ლიდერს ამარცხებს



გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**აკადემია – ბათუმი 77:74**
**(13:22; 25:17; 19:23; 20:12)**

ბოლო ადგილზე მყოფმა აკადემიამ სუპერლიგის ერთ-ერთი ლიდერი ბათუმი 77:74 დაამარცხა. აკადემიამ მოიგო ამ გუნდების წინა წრის ბათუმში გამართული მატჩიც, რაც იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ გელა წულაძისა და გია კაზანჯიანის გაწვრთნილი გუნდი აჭარელებისთვის მეტად უხერხული მეტოქეა.

არადა, მატჩი ზღვისპირელთათვის კარგად დაიწყო და პირველი პერიოდის შემდეგ დავით უსტიაშვილის გუნდი 9 ქულით დაწინაურდა. აკადემიელებმა მეორე პერიოდის შუაწელში თამაში გამოასწორეს, ანგარიში გაათანაბრეს და ბოლო წუთებამდე შეხვედრა ასე ქულა-ქულაში გაგრძელდა.

გადამწყვეტი გამოდგა ბოლო წამები. ქულით ჩამორჩენილმა ბათუმელებმა ბოლო წუთზე შეტევაში ბურთი დაკარგეს და ეს შანსი აკადემიამ ხელიდან არ გაუშვა. ამერიკელმა გამთამაშებელმა რეი-არ სთროუბრიჯმა ორივე საჯარიმო ჩააგდო და 3-ქულიანი ლიდერობა თბილისელებმა ბოლო წამებამდე შეინარჩუნეს. გამთანაბრებელი სამქულიანი ორჯერ ესროლეს ბათუმელებმა, თუმცა არც აკაკი დვალიშვილის და არც ირაკლი მიქელაძის ნასროლი კალათში არ ჩაეშვა.

გამარჯვებულებს 20-20 ქულით სთროუბრიჯმა და კოკა ტომარაძემ ულიდერეს. ბათუმში კი 20 ქულით და 10 მოხსნით აკაკი დვალიშვილი გამოირჩა. იგორ კრივცოვის ანგარიშზე 19 ქულა დაგროვდა.

**სოხუმი – დინამო 85:61**
**(18:18; 20:22; 19:14; 28:7)**

პირველი, მეორე და მესამე პერიოდები უაღრესად დაძაბული გამოდგა, რასაც ვერ ვიტყვით ბოლო მეოთხედზე, რომელიც სოხუმელთა აბსოლუტური უპირატესობით წარიმართა და შეხვედრა, რომლის დაძაბულ ფინალს ელოდნენ, 24-ქულიანი სხვაობით – 85:61 დასრულდა.

სოხუმელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მძიმე პირველი ტაიმისა, რომლის განმავლობაშიც ძირითადად დინამოელები ლიდერობდნენ, ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა მოახერხა რეაბილიტაცია და მატჩის ბოლო 12 წუთი მეტოქეს 31:7 (!) სძლია. ბოლო პერიოდში სოხუმელებმა დიდებულად ითამაშეს. ლევან ფაცაცია, ფილიპ მილერი, ანდრე სმიტი, გიორგი ჯგერენაია, ირაკლი ალხანაიძე და დანარჩენი სოხუმელები უბადლოდ ირჯებოდნენ.

სოხუმელებს 29 ქულით ფილიპ მილერმა ულიდერა. 21 ქულა მიითვალა ლევან ფაცაციამ, ანდრე სმიტმა და გიორგი ჯგერენაიამ 12-12 ქულა მიითვალეს. დინამოში 19 ქულით და 8 მოხსნით საუკეთესო იყო გიორგი არაბიძე.

**ქუთაისი – ოლიმპი 94:82**
**(25:17; 25:21; 18:21; 25:23)**

კოტე ტუღუშის გუნდი 3 ტურის წინ სუპერლიგის ლიდერი იყო და შემდეგ ზედიზედ 3 მარცხით მე-5 ადგილზე დაქვეითდა, ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ ოლიმპთან მხოლოდ მოგებას გეგმავდა და საწადელი აისრულა კიდეც.

ლეონიდ ივატინის გაწვრთნილი ოლიმპელები მატჩის სადებიუტო 5 წუთში მცირედით ლიდერობდნენ, რის შემდეგაც მასპინძლებმა დაწინაურება მოახერხეს და უპირატესობა თამაშის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვიათ.

პირველი პერიოდი ქუთაისელებმა 25:17 მოიგეს და აღებული ტემპი არც მეორე მეოთხედში დააგდეს. დიდი შესვენებისთვის მასპინძლებმა ლიდერობა 12 ქულამდე გაზარდეს, რაც მათი გუნდური თამაშის დამსახურება იყო. მოედანზე გასულმა 11-ვე მოთამაშემ შეძლო ქულების მოპოვება, რომელთაგან 6-მა 10-ქულიან ზღვარს გადააბიჯა.

ამ შედეგიანობის წყალობით ქუთაისელებმა ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნეს და საბოლოოდ 94:82 გაიმარჯვეს.

გამარჯვებულთა გუნდის ბომბარდირი 14 ქულით ჯონ ბრიტონი გახდა, ხოლო მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი – 13 ქულა და 13 მოხსნა ვახტანგ ქადარიამ მიითვალა. ოლიმპში 30 ქულით საუკეთესო იყო ჯერემი ბაინამი, ლესლი სმიტმა 20 ქულა მიითვალა, ლაშა ფარღალავას ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა.

**მგზავრები – რუსთავი 63:84**
**(12:22; 16:9; 9:25; 26:28)**

პირველი პერიოდის 12:22 წაგების შემდეგ მგზავრებმა თამაში ნაწილობრივ დაალაგეს და დიდ შესვენებაზე მხოლოდ 3 ქულას აგებდნენ, თუმცა მესამე პერიოდში რუსთაველებმა დიდებულად ითამაშეს. მიხეილ ჭოჭუას, რევაზ ჩაჩანიძის და ლაშა გამყრელიძის შორი სროლებით, რასაც სამწამიანი ზონიდან კაელ ტურპინისა და ნიკოლა გაჩეშას შედეგიანობა ერთვოდა, ქვემო ქართლელებმა მესამე 10-წუთეული 25:9 მოიგეს და ბოლო პერიოდის წინ 19 ქულით დაწინაურდნენ.

მეოთხე ათწუთეულის დაწყებიდან მალევე რუსთაველთა ლიდერობამ 30 ქულას მიაღწია და მატჩის დასკვნითი წუთები ფორმალობად იქცა. გამარჯვებულებს 17 ქულით, 9 მოხსნით და 5 პასით გამყრელიძემ ულიდერა. 19 ქულით ბომბარდირი რევაზ ჩაჩანიძე გახდა, ტურპინის ანგარიშზე კი 16 ქულა და 13 მოხსნა დაგროვდა. მგზავრებში 19 ქულით საუკეთესო იყო კენდალ უილიამსი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბათუმი | 19 | 12 | 7 | 1498-1426 | 31 |
| 2.დინამო | 19 | 12 | 7 | 1355-1310 | 31 |
| 3.სოხუმი | 19 | 11 | 8 | 1489-1344 | 30 |
| 4.ქუთაისი | 19 | 11 | 8 | 1460-1404 | 30 |
| 5.მგზავრები | 19 | 10 | 9 | 1359-1441 | 29 |
| 6.რუსთავი | 19 | 8 | 11 | 1421-1435 | 27 |
| 7.ოლიმპი | 19 | 8 | 11 | 1406-1437 | 27 |
| 8.აკადემია | 19 | 4 | 15 | 1391-1582 | 23 |

# ცოტნე მაჭავარიანი ოლიმპიადაზე დედასა და ბაბუას წაჰყვება

ქართველ ოლიმპიელთა რიგებში მატებაა – 18 წლის ტყვიის მსროლელმა ცოტნე მაჭავარიანმა უნგრეთის ქალაქ გიორში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე 31-ე ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა. ეს ამბავი მას შემდეგ გაირკვა, რაც ცოტნემ 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტით სროლაში საკვალიფიკაციო ეტაპზე 579 ქულა მოაგროვა (პირადი რეკორდი), მეექვსე შედეგი აჩვენა და ფინალში გავიდა (ფინალშიც ასევე მეექვსე იყო).



რადგან რვა ფინალისტთაგან ხუთს მანამდე უკვე აღებული ჰქონდა ოლიმპიადის საგზური, ჩვენმა მსროლელმა ჩემპიონატის ამ ეტაპზევე გაინაღდა ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის უფლება, რაც უდავოდ დიდი წარმატებაა.

ცოტნე მაჭავარიანი მოზრდილთა ევროპულ ჩემპიონატზე პირველად გამოვიდა, არადა, ასაკის მიხედვით, იუნიორთა ტურნირში უნდა ჩართულიყო. სწორედ იმის გამო, რომ გიორში სამი ოლიმპიური ლიცენზია თამაშდებოდა, მწვრთნელებმა გადაწყვიტეს ცოტნესთვის შანსი მიეცათ. მან დასახული ამოცანა წარმატებით შეასრულა და რიოში სახელოვანი დედის – ოლიმპიური თამაშების სამგზის მედალოსნის (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) ნინო სალუქვაძის მხარდამხარ იასპარეზებს.

ნინომ ქართველ სპორტსმენთა შორის პირველმა აიღო ოლიმპიადის საგზური და სარეკორდო, მერვე თამაშებზე მოუწევს გამოსვლა. ქართული სპორტის ისტორიაში ასევე პირველი შემთხვევაა (მსოფლიო სპორტში კი ძალზე იშვიათი), რომ ერთ ოლიმპიადაზე, სპორტის ერთ სახეობაში დედა-შვილი ერთად გამოვა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ წარმატების სათავეში დგას სახელოვანი მწვრთნელი, ჩვენი ლიცენზიანტების მამა და ბაბუა ვახტანგ სალუქვაძე.

**ჯერჯერობით საქართველოს 20 ოლიმპიური ლიცენზია აქვს:**

1.ნინო სალუქვაძე, ცოტნე მაჭავარიანი (ორივე ტყვიის სროლა), 2.ხათუნა ნარიმანიძე, 3.ქრისტინე ესებუა, 4.იულია ლობჟანიძე (სამივე მშვილდოსნობა), 5.სალომე ფაჟავა (მხატვრული ტანვარჯიში), 6.ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 7.სანდრო ამინაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 8.ელიზბარ ოდიკაძე (თავისუფალი ჭიდაობა), 9.გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 10.დავით ხარაზიშვილი (მძლეოსნობა), 11.ლუბა გოლოვინა (ბატუტზე ხტომა), 12-14. ძალოსნობა. საქართველოს ნაკრები. 3 ლიცენზია, 15-19. ძიუდო. საქართველოს ნაკრები. 5 ლიცენზია.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ასტროპროგნოზი
## 29 თებერვლისათვის



**ვერძი** – კარგი პერიოდია ქორწინებისათვის, სასიყვარულო ურთიერთობისათვის. ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა ხელგეწიფებათ. ქალები საკუთარი მომხიბვლელობის პიკში იქნებით.**კურო** – დღის პირველ ნახევარში დატვირთული ხართ. სამსახური თქვენგან მაქსიმალურ ყურადღებასა და დისციპლინას მოითხოვს. საღამოს კონფლიქტია მოსალოდნელი ოჯახის წევრებთან. **ტყუპები** – პროვოკაციული დღეა. კონფლიქტის თავიდან აცილებაში თქვენი ჭკუა და პიროვნული მომხიბვლელობა დიდ როლს ითამაშებს. **კირჩხიბი** – იყავით კონცენტრირებული და ორგანიზებული. შინაგანად აფორიაქებული ხართ, რასაც საყვარელ ადამიანთან კამათი მოჰყვება. **ლომი** – იაქტიურეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ნერვებს არ აჰყვეთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. კარგი იქნება, თუ წყლის პროცედურებს ჩაიტარებთ. **ქალწული** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. საქმიან ქაღალდებთან ურთიერთობისას წინდახედულობა გამოავლინეთ. არ აჩქარდეთ. **სასწორი** – ცვლილებების პერიოდი გეწყებათ. მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებთან ურთიერთობას. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, გიჯობთ, ძველი დაამთავროთ. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. დაისვენეთ თქვენთვის სასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში. **მშვილდოსანი** – მცირეოდენი პრობლემები გექმნებათ, თუმცა მიზანს მაინც აუცილებლად მიაღწევთ. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. **თხის რქა** – კოსმოსიდან დიდ ენერგიას იღებთ. აუცილებელი საქმის კეთებას დიდი ძალისხმევა დასჭირდება. საქმიანი მოლაპარაკებები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. **მერწყული** – კარგი პერიოდია კომერციული საქმიანობისათვის. წადით საყიდლებზე. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **თევზები** – გელით საინტერესო ნაცნობობა. გამორიცხული არ არის, კოლეგებთან საქმიანი ურთიერთობა მეგობრულში გადაიზარდოს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# რაგბი: საქართველომ ესპანეთს ბონუსით მოუგო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ყველაფერი იდეალური ნამდვილად არ იყო. ნაკრებმა განსხვავებული სტილით ითამაშა, აქცენტი გაშლილ რაგბიზე გააკეთა და ძალიან ბევრი, 21 შეცდომა დაუშვა.

ორი საჯარიმო ლელოდან ერთი შერკინების დამსახურებაა, ერთი კი ხაზის მოთამაშეებმა შექმნეს.

დანარჩენი ოთხი ლელოს ავტორებიც უკანახაზელები არიან. თუმცა, რამდენჯერმე ჩვენებმა რისკიანი გადაწყვეტილება მიიღეს, აქედან ერთი ლელოდ დაგვიჯდა. კიდევ რამდენჯერმე ბურთი მეტობაში არ გადავიტანეთ და ძალას მივეძალეთ, თორემ სხვაობა უფრო დიდი იქნებოდა.

მსაჯმა ფერნანდო ლოპესი სინბინით დასაჯა და შერკინებით მივეძალეთ, რასაც ესპანელებმა ვერ გაუძლეს და რამდენიმე ჯარიმის შემდეგ საჯარიმო ლელო დავიმსახურეთ.

შემდეგ იყო დაკარგული ბურთი და ესპანელმა ხოსე გიოამ 70 მეტრი ისე ირბინა, რომ ხელი არავინ შეუშალა.

შემდეგ კვირიკაშვილმა ბურთი ფეხით შეაცურა და მას გიორგი აფციაური მიჰყვა, რომელმაც ორ მცველს გაასწრო და ლელოს დაამიწებდა, მაგრამ სერხიო ობანელმა წესების დარღვევით შეაჩერა ჩვენიანი, რასაც სინბინი და მეორე საჯარიმო ლელო მოჰყვა.

შემდეგ თოდუამ მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი, მცველს გაექცა და ტაიმი 21:7 დასრულდა.

მეორე ტაიმში ორი ლამაზი ლელო გავიდა და ორივე ხელდახელ თამაშით შეტევები ჯერ კვირიკაშვილმა, შემდეგ კი მჭედლიძემ დაასრულეს.

66-ე წუთზე ესპანელი ფეხით ცდილობდა საკუთარი ლელოს სიახლოვიდან ბურთის მოგერიებას, მაგრამ ბურთი მოეჭრა, ის მარჯვენა ფლანგზე ლელოსკენ დაეშვა და კაჭარავაც ალამთან შეფრინდა – 38:7.

რუმინეთმა რუსეთი 30:0 გაანადგურა, ხოლო გერმანიამ პორტუგალია 50:27 დაჯაბნა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | 126:17 | 15 |
| 2.რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 90:32 | 14 |
| 3.რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 68:70 | 9 |
| 4.გერმანია | 3 | 1 | 0 | 2 | 77:132 | 5 |
| 5.ესპანეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 45:81 | 2 |
| 6.პორტუგალია | 3 | 0 | 0 | 3 | 44:118 | 1 |

# სკანვორდი



1. კვანძი; 2. ზოდიაქოს ნიშანი; 3. ფარული დაცინვა; 4. სადაც ფულს ინახავენ; 5. ... კალმანი; 6. მაუგლის მეგობარი პითონი; 7. ქალბატონი (ინგლისურად); 8. გადამდნარი კარაქი; 9. ენრიკო ...; 10. თეფში; 11. სახატავი საღებავები; 12. ნაბიჯი ბალეტში; 13. ეპოქა; 14. ორკორპუსიანი სატვირთო გემი; 15. ოპერატორული ხერხი კინოგადაღებაში; 16. ბერძნული ანბანის ასო; 17. მიწაში ამოღრმავებული ადგილი; 18. მწვერვალი არგენტინაში; 19. ღვინის ობი; 20. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 21. ...რნაშო, ...მბარა, ...რზმა; 22. ხორციანი კორკოტი; 23. პროფესიონალი მფრინავი; 24. ხვეწნა, მუდარა (ძვ.); 25. რეფერი; 26. გარეული ვირი; 27. მღვდელი საფრანგეთში; 28. წილი ბიზნესში; 29. ქალად გადაცმული აქილევსის სახელი; 30. ალღო; 31. ჯუჯა კამეჩი; 32. სოფელი ლენტეხის რაიონში; 33. ... ფილიპი; 34. ჯირითი; 35. სისხლის სამართლის დანაშაულის სპეციალისტი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაჯაღლო; 2. ალუვი; 3. გეოლოგია; 4. პლაფონი; 5. საწნახელი; 9. გვარლი; 12. სლალომი; 14. პაგოდა; 15. ტუბა; 17. მასნე; 18. „ფეტა".

**თარაზულად:** 6. შატილი; 7. პენელოპა; 8. „ზანავი"; 10. დოგმა; 11. მონოგრაფია; 13. ეპისტოლე; 16. ალბომი; 19. ერდოღანი; 20. საქსონია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ბაგიათი"; 2. ოფიცერი; 3. „ლივერპული"; 4. ბელუჩი; 5. ორძელი; 9. გიენა; 10. ასპექტი; 14. ინტენდანტი; 15. პოსტულატი; 16. ელარჯი; 19. „ძელშავი"; 20. ანდები; 21. ამქარი.

**თარაზულად:** 6. რატიფიკაცია; 7. მეტეორი; 8. კიბუცი; 11. ქიაჩელი; 12. კროსი; 13. ჰუდზონი; 17. მონმარტრი; 18. პოლიგლოტი; 22. კნეთელი; 23. ჯომარდი; 24. კვესტურა; 25. ბირთვისი.

## ვულკანის ამოფრქვევის შედეგად დაშორებული დები ერთმანეთს შეხვდნენ



კოლუმბიაში დები ჟაკლინი და ლორენა სანჩესები 30-წლიანი დაშორების შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს. ამის მიზეზი კი გახდა ის ფაქტი, რომ მათი მშობლიური ქალაქი არმერო ვულკან ნევადო-დელ-რუისას ამოფრქვევის შედეგად განადგურდა.

დები სხვადასხვა ოჯახმა იშვილა და ერთმანეთის ადგილსამყოფელი მათთვის უცნობი იყო.

– ჩვენ 30-წლიანი განშორების შედეგები ერთად უნდა ავინაზღაუროთ, – განაცხადა ლორენა სანჩესმა.

დებმა ერთმანეთი მას შემდეგ იპოვეს, როდესაც ჟაკლინმა დის მიერ გამოქვეყნებული ვიდეო ნახა, რომელშიც ის ითხოვს, რომ მას აცნობონ ნებისმიერი ინფორმაცია მისი ოჯახის გადარჩენილ წევრებზე. ქალაქ არმეროს ტრაგედიის მსხვერპლთა მოძიების ფარგლებში დნმ-ს ტესტის გავლის შედეგად იქნა დადგენილი მათი ნათესაური კავშირი.

ვულკანის ნევადო-დელ-რუისას ამოფრქვევა 1985 წლის 13 ნოემბერს მოხდა, რასაც მისი ყინულის საფარის დნობა და მეწყრის წარმოშობა მოჰყვა. სწორედ მეწყერმა გაანადგურა თითქმის მთლიანად ქალაქი არმარო, რომელიც ვულკანიდან 46 კილომეტრში მდებარეობდა. ქალაქში მცხოვრები 29 ათასი ადამიანიდან 20 ათასზე მეტი დაიღუპა.

## სელმა ჰაიეკის ძაღლი მოკლეს

მსახიობმა სელმა ჰაიეკმა თავის ძაღლის, სახელად მოცარტის დაღუპვის თაობაზე ინფორმაცია გაავრცელა. უცნობმა პირებმა მსახიობის ძაღლს ვაშინგტონის შტატში მდებარე მის რანჩოზე ესროლეს. ეს ინფორმაცია ჰაიეკმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.



– ის რანჩოზე მკვდარი პარასკევს იპოვეს. ცეცხლსასროლი ჭრილობა მას გულის არეში ჰქონდა მიყენებული. იმედი მაქვს, რომ ვაშინგტონის შტატის ხელისუფლება ამ შესანიშნავი ძაღლისთვის, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში არავისთვის უკბენია, სამართლიანობას აღადგენენ, – დაწერა მსახიობმა.

ჰაიეკმა აღნიშნა, რომ მის ძაღლს არასოდეს დაუტოვებია მარტოს რანჩოს ტერიტორია და რომ ის „ერთგული და მოსიყვარულე მეგობარი“ იყო.

მსახიობმა ასევე აღნიშნა, რომ მისი საყვარელი ცხოველი მისი ერთ-ერთი ფილმის გადაღებაშიც კი მონაწილეობდა და ძაღლები იმდენად უყვარს, რომ მათთან ჩახუტებისგან თავს ვერასოდეს იკავებს.

## მოსწავლე ღვინის ზედმეტი დოზისგან კომაში ჩავარდა



დნეპრისპირეთის ქალაქ სლობოდზეას მცხოვრები მოსწავლე გოგონა ალკოჰოლურ კომაში პირდაპირ გაკვეთილზე ჩავარდა. ეს ინფორმაცია არაღიარებული რესპუბლიკის შსს-ს ვებგვერდზეა განთავსებული. 14 წლის მოსწავლე გოგონა საავადმყოფოში შესაბამისი დიაგნოზით იქნა გადაყვანილი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოსწავლე ცუდად ლიტერატურის გაკვეთილზე გახდა. შსს-ს ინფორმაციით, გოგონამ ღვინო თავის თანატოლებთან ერთად გაკვეთილებს შორის შესვენების დროს დალია, ხოლო გაკვეთილზე შესულმა თავი ცუდად იგრძნო და გონება დაკარგა.

## იოკო ონო საავადმყოფოდან გამოწერეს



ჯონ ლენონის ქვრივი იოკო ონო ნიუ იორკის საავადმყოფოდან გამოწერეს, სადაც ის არცთუ დიდი ხნის წინ იქნა მოთავსებული. ამის თაობაზე ინფორმაცია ტვიტერში მისმა შვილმა შონ ონო ლენონმა განათავსა.

– კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას ყველას, ვინც მისმა ჯანმრთელობის მდგომარეობამ შეაწუხა. ის ახლა სახლშია და თავს კარგად გრძნობს. ბოლოს და ბოლოს, ეს, უბრალოდ, გრიპი იყო და მეტი არაფერი, – დაწერა შონმა.

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჯონ ლენონის ქვრივი საავადმყოფოში იქნა მოთავსებული, 27 თებერვალს გავრცელდა. შეგახსენებთ, რომ იოკო ონო არის იაპონელი ავანგარდისტი მხატვარი, მომღერალი და ხელოვნების მოღვაწე. მას თებერვალში 83 წელი შეუსრულდა.

## ჟანა დ'არკის ბეჭედი 420 ათასად გაიყიდა

იმ კომპანიის მმართველმა დირექტორმა, რომელმაც აუქციონის ვაჭრობას გაუკეთა ორგანიზება, კრის რენმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ეროვნული გმირის ჟანა დ'არკის ვერცხლის ბეჭედი ლონდონის აუქციონზე სარეკორდო თანხად 297,6 ათას ფუნტად (420 ათასი დოლარი) გაიყიდა.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ რელიკვიის ხელში ჩასაგდებად ათეულობით კოლექციონერი იბრძოდა არა მხოლოდ უშუალოდ დარბაზში, არამედ ტელეფონებითა და ინტერნეტით.

ისტორიული რელიკვიის საწყისი ფასი 14 ათას ფუნტს შეადგენდა, მაგრამ ვაჭრობის შედეგად მისმა ფასმა რამდენიმე ათეულჯერ გადააჭარბა საწყის ღირებულებას.

– ჟანა დ'არკის ბეჭედს შეგვიძლია უმსხვილესი ინდივიდუალური ლოტი ვუწოდოთ აუქციონის ისტორიაში. ამაზე მეტყველებს მისი საბოლოო ღირებულება, რომელიც ამგვარი ტიპის ლოტებში მსოფლიო რეკორდს წარმოადგენს. ძალზე იშვიათად ხდება, რომ ვერცხლის ბეჭედი რამდენიმე ათას ფუნტზე ძვირად გაიყიდოს და ეს შემთხვევა სწორედ რომ განსაკუთრებულია, – განაცხადა რენმა.

## პრინცი უილიამი და მისი მეუღლე ტაჯ-მახალს მოინახულებენ



კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია ოფიციალური ვიზიტით ეწვევიან ინდოეთსა და ბუტანს. ამ ინფორმაციას კენსინგტონის სასახლეზე დაყრდნობით ბრიტანული პრესა ავრცელებს.

ვიზიტი 10 აპრილს მუმბაიში დაიწყება. შემდეგ უილიამი და კეტრინი ეწვევიან ნიუ-დელისა და კაზირანგის ეროვნულ პარკს. ამის შემდეგ სამეფო წყვილი ბუტანის დედაქალაქ ტხიმპხუში გაემგზავრება. ხოლო მათი ვიზიტი 16 აპრილს ტაჯ-მახალში დასრულდება.

ალსანიშნავია, რომ სწორედ ტაჯ-მახალში გააკეთა მონიშნება მეუღლე პრინც ჩარლზთან დაშორების შესახებ უილიამის დედამ, პრინცესა დიანამ. ეს 1992 წელს მოხდა. მაშინ დიანა მსოფლიოს ყველაზე რომანტიკული ნაგებობის ფონზე მარტო პოზირებდა.

თითქმის 25 წლის შემდეგ პრინცესა დიანას შვილი მეუღლესთან ერთად მოინახულებს ტაჯ-მახალს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ვინ უწოდებს ქეთა თოფურიას მოღალატეს?

„ა სტუდიოს“ ქართველი ვოკალისტის ქეთა თოფურიას მიმართ ინტერესი სულ უფრო იმატებს. მომღერალი საკმაოდ ხშირად ატარებს ონლაინ-პრესკონფერენციებს და ფანების შეკითხვებს გულწრფელად პასუხობს.



ერთ-ერთ ბოლო ონლაინ-პრესკონფერენციაზე ქეთამ, წარმატებისა და სილამაზის საიდუმლოებებთან ერთად, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თემაზეც ისაუბრა.

**ქეთა თოფურია:**

– მიხეილ სააკაშვილთან კარგი ურთიერთობა მქონდა და მასზე კარგი წარმოდგენა გამაჩნდა. ვერ ვიტყვი, რომ ვერ ვიტან და მეზიზღება, ალბათ, უფრო პირიქით, სამწუხაროდ, ის ვერ მიტანს. გარშემომყოფები არ ჰყავდა ნორმალური და რას ეუბნებოდნენ ჩემზე, ღმერთმა უწყის. ისე კი ნორმალური ადამიანია.

9 მაისს რომ ვიმღერე, დამიწყეს გაკრიტიკება და გამყიდველი და მოღალატე მიწოდეს. სამამულო ომში ქართველები დიდი რაოდენობით იბრძოდნენ. ბაბუაჩემიც იბრძოდა და ვალდებული ვიყავი, გამოვსულიყავი და მემღერა. მათ ჩათვალეს, რომ მხოლოდ რუსეთს ვუჭერდი მხარს. არადა, საერთოდ არ მინდა პოლიტიკაში ჩარევა და ვერც კი ვერკვევი.

## პირველი ქართველი მოდელი მამაკაცი მსოფლიო სამოდელო ბიზნესში ჩაერთო

17 წლის ქართველი მოდელი ლუკა ჯაჯვანი მსოფლიოს სამოდელო ბიზნესში ჩაერთო.



„დაიმახსოვრეთ ეს ბიჭი“ – წერს ლუქმოდელსის ოფიციალური გვერდი, რომელმაც ლუკა ჯაჯვანი თავის ახალ სახედ აიყვანა.

ლუკა „იმიჯ ცენტრის“ მოდელი და „ელიტ მოდელ ლუქ საქართველოს“ 2016 წლის გამარჯვებულია. ის არის პირველი ქართველი მამაკაცი მოდელი, რომელსაც საზღვარგარეთ სამოდელო კონტრაქტით ელიან.

მილანში ელიტის მსოფლიო ფინალზე ლუკა სამოდელო აგენტებმა შეამჩნიეს. ვინაიდან ის 17 წლის არის და არ აქვს არანაირი სამოდელო გამოცდილება, გადაწყდა, რომ მუშაობას შანხაიდან დაიწყებს.

ლუკა ჯაჯვანი შანხაიში პროფესიონალი მოდელის ამპლუაში 3 თვის განმავლობაში იმუშავებს.

## ქეთევან კიკნაძე მარიხუანაზე ალაპარაკდა



მსახიობი, გიგა ლორთქიფანიძის მეუღლე ქეთევან კიკნაძე მარიხუანაზე ალაპარაკდა. ხელოვანი შეწუხებულია იმ ფაქტით, რომ მარიხუანის გამო ახალგაზრდებს ციხეში სვამენ და მთელ ცხოვრებას უმახინჯებენ. მისი აზრით, დაპატიმრება გამოსავალი არ არის.

**ქეთევან კიკნაძე:**

– ყველამ რომ მარიხუანა მოვწიოთ, რა დაემართება ქვეყანას? რა თქმა უნდა, დაჭერა-დაპატიმრება არ არის გამოსწორების გზა. დაჯარიმდეს? თუ ჯარიმის ფული არ აქვს, საიდან ყიდულობს მარიხუანას?

ასეთი თქმულება არსებობს: ჯადოქარმა ჭაში ჩაყარა საწამლავი და ყველა გაგიჟდა, აუჯანყდნენ მეფე-დედოფალს. დედოფალმა გამოსავალი იპოვა, მეფეს უთხრა, ჩვენც დავლიოთ ეს წყალი, იქნებ დამშვიდდნენო. დალიეს და მათ ჭკუაზე მოექცნენ. იქნებ ჩვენც მოვწიოთ მარიხუანა?

## პაატა ბურჭულაძე ოქროს ვარსკვლავით დააჯილდოვეს

საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე მშვიდობის ოქროს ვარსკვლავით დააჯილდოვეს.



დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში გაიმართა. საქართველოს განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორს პაატა ბურჭულაძეს აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპული ოჯახების შერიგების და ჰუმანიტარული მომსახურების კავშირმა „დიოსკურია 2005“–მა მშვიდობის ოქროს ვარსკვლავთან ერთად ფაზისი აკადემიის აკადემიკოსის წოდება მიანიჭა.

მშვიდობის ოქროს ვარსკვლავი „დიოსკურიამ“ პირველად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს მიაკუთვნა. დიოსკურიის პრეზიდენტმა, გენერალმა სერგო წურწუმიამ პაატა ბურჭულაძეს სამკერდე ნიშნებთან ერთად, გიორგი სააკაძის საიუბილეო გამოცემა და ფსალმუნთა კრებული გადასცა.

ღონისძიებას აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპული ოჯახების შერიგების და ჰუმანიტარული მომსახურების კავშირის, ასევე ფაზისი აკადემიის აკადემიკოსები და ორგანიზაციის წევრები ესწრებოდნენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

**ორშაბათი 29 თებერვალი**

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 სოციალური თოქ-შოუ 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**ამავე დროს მომავალ წელს**" (რ.მალიგანი") 03.10 "პირადი ექიმი"

08.00 დ/ფ "ზეთი სიამაყე" 09.00 მხ/ფ "**ყოვლისშემძლე ევანი**" 10.30 დ/ფ "ინდოეთი" 11.00 ქართ. მხ/ფ "**დიდედები და შვილიშვილები**" 12.30 დ/ფ "პერუ" 13.00 დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 იუმორინა 00.00 მხ/ფ "**რემბო 4**" 01.50 მხ/ფ "**პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან**" 03.35 ერთხელ საქართველოში 05.05 მხ/ფ "**უცხოები**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 22.00 ქ.მხ/ფ. "**გრძელი,ნათელი დღეები**" 23.30, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

9.00, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 9.30, 15.30 Discovery - ფილმების მეცნიერება 10.30,ჯიდიპედია 11.30 შუადღე 14.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ცენტრი**" 16.30 აირჩიე კაბა 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 20.00 ცოლები და ქმრები 20.30 20.30 22.00 **ოსკარი** 2016 დაჯილდოების ცერემონია 0.00 მხ/ფ "**უკანასკნელი სამურაი**" 2.45 ID Extra - სასჯელს თითქმის გავექეცი

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია 06.35 პატერიკი-ცხოვრების ძიებისა და სიკეთის შესახებ 06.45 ქართული ალბომი 07.20 დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მოკ. მხ/ფ "**ალავერდობა**" 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "ყოჩივარდა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 15.55 სპექტაკლი "**მტრედის მოტანილი ბარათები**" III ნაწ. 16.45 დ/ფ "ილია ჭავჭავაძე-ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" 1 ნაწ. 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-მარხვის შესახებ 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**იყო შაშვი მგალობელი**" 20.40 ძილი ნებისა "მარიამი მოსეს გადაარჩენს" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი-ოთხი კიდობნის შესახებ 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 საქართველოს სამართლის ისტორია 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 დ/ფ ხომლი "ძამას ხეობა" IV 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 07.55გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05, 11.05სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.00"კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 16.05, 17.05, 01.00 სერ. "**კარმელიტა** 18.00"კონტაქტი ექვსზე" 19.05, 02.30 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00"კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**ფროიდის მეთოდი**" 21.30თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**29 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4778

ევრო — 2.7293

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4679

100 რუსული რუბლი — 3.3064

## ამინდის პროგნოზი 29 თებერვლისთვის






## კალეიდოსკოპი

### ამერიკელს ელექტროსიგარეტი შარვალში აუფეთქდა

ამერიკის კენტუკის შტატში ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურში ადგილობრივ მცხოვრებ ჯოშ ჰემილტონს შარვალში ელექტროსიგარეტი აუფეთქდა.



ცეცხლი, რომელიც მამაკაცის შარვალს მოედო, შემთხვევის ადგილზე მყოფმა დაწესებულების თანამშრომელმა ცეცხლმქრობის დახმარებით ჩააქრო. თავად ჰემილტონმა ფეხებზე მესამე ხარისხის დამწვრობა მიიღო და საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

აღსანიშნავია, რომ ელექტროსიგარეტები მის მომხმარებლებს არცთუ იშვიათად უფეთქდებათ როგორც ხელში, ასევე მისი დატენვის დროს.

### აქცია ტოკიოს უნივერმაღში

იაპონური კომპანია ისეტენ მიტსუკოში ჰოლდინგი საკუთარი მაღაზიების ქსელიდან ერთ-ერთში აქციას გამართავს, რომლის ფარგლებშიც ყველა საქონელი ცხრა ათასი დოლარი ეღირება. აღნიშნული ღონისძიება 1 მარტისთვისაა დაგეგმილი.



ამ აქციის დროს 125 ნივთი იქნება წარმოდგენილი, რომელთა შორის იქნება საავტორო ფუმფულა დათუნიები, 24-კარატიანი ლომის ოქროს ქანდაკებები, ალბინოსი ბელუგას ხიზილალა, მოთავსებული ოქროს კონტეინერებში. ასევე შესაძლებელი იქნება ბრინჯაოში ჩამოსხმული საკუთარი ქანდაკების შეძენა.

ზოგიერთი მათგანი ჩინელ ტურისტებზეა ორიენტირებული, რომლებმაც გასულ წელს იაპონიაში შოპინგებზე 12 მილიარდი დოლარი დახარჯეს. კომპანიის წარმომადგენლის თქმით, ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი ნივთების ღირებულებამ შესაძლოა 1,5 მილიონ იენსაც კი მიაღწიოს (დაახლოებით 15 ათასი დოლარი), ხოლო იმ ნივთებზე, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა, აუქციონი გაიმართება.

### პოლიციელებს პონის დასაჭერად ოთხი საათი დასჭირდათ

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ფრესნოში პოლიციელები ოთხი საათის განმავლობაში ცდილობდნენ პატრონისგან გამოქცეული პონის დაჭერას. აღსანიშნავია, რომ ამ დევნის დროს ცხოველი, სახელად ჯულიეტა, რქოსანი ცხენის კოსტიუმში იყო გამოწყობილი, მას ეკეთა ვარდისფერი აღვირი და შუბლზე დამაგრებული ჰქონდა ცალი რქა.




პონის მფლობელია ფოტოგრაფი სანდრა ბუსი, რომელიც ბავშვებისთვის ფოტოსესიების მოწყობითაა დაკავებული. ქალის თქმით, მისი პონი საბავშვო დღესასწაულიდან გამოიქცა, რომელზეც ისინი მუშაობდნენ. შოსეზე მოჭენავე „რქოსანი“ პონი მძღოლებმა უკვე ქალაქის ფარგლებს გარეთ შენიშნეს. გაქცეული ჯულიეტას მოსაძებნად სამართალდამცავებმა პოლიციის შვეულმფრენი გაგზავნეს, მაგრამ პონი რამდენიმე საათის განმავლობაში ახერხებდა პოლიციელებისგან დამალვას.

როგორც პოლიციის წარმომადგენელმა ჯოშუა მაკონელმა განაცხადა, მომხდარის შედეგად პონი არ დაშავებულა. ამის მიუხედავად, მან მომხდარს ბედნიერი შემთხვევითობა უწოდა, ვინაიდან ცხოველი თავისუფლად შეიძლება დაეშავებინა რომელიმე გამვლელ მანქანას.

საბოლოოდ, გაქცეული პონი პატრონს დაუბრუნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 1 მარტიდან

**გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად**

# დონალდ ტრამპი

## იფიქრე ჩემპიონივით




დონალდ ტრამპის სახელი უკავშირდება უზარმაზარი იმპერიის შექმნას უძრავი ქონების სფეროში, ბრენდისა, რომელიც ოქროს სტანდარტის სინონიმად იქცა.

ამჟამად ის აშშ-ის პრეზიდენტის პოსტისთვის იბრძვის და ყოველდღე შოკში აგდებს მსოფლიოს რადიკალური ქცევითა და განცხადებებით.

დონალდ ტრამპს წლების განმავლობაში დაწერილი აქვს ბესტსელერად ქცეული წიგნები, რომლებშიც გადმოცემულია მისი სისხლსავსე ცხოვრება.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

# რაგბი: საქართველომ ესპანეთს ბონუსით მოუგო



**საქართველო – ესპანეთი 38:7**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**საქართველო:** კვირიკაშვილი (ფრუიძე 64), აფციაური, კაჭარავა, მჭედლიძე (მალაღურაძე 57), თოდუა, ხმალაძე, ლობჟანიძე (ბეგაძე 57); ნარიაშვილი (ასიეშვილი 61), მამუკაშვილი (ჟვანია 41), ქუბრიაშვილი (ფეიქრიშვილი 53), ჩხაიძე (ჭეიშვილი 72), ნემსაძე, სუთიაშვილი, თხილაიშვილი (გორგაძე 64), ლომიძე

**ესპანეთი:** ობანელი, გოია, კასტილიონი (სანჩესი 64), გრიფითსი, მენგიონი (სანტიაგო 22), სნი (ფონტესი 64), ხილი; ლოპესი (ინსაუსტი 64), ჰაჩინსონი (სანსი 48), სივილი (ჰაჩინსონი 73), მორა (გოია 64), ბარერა, დელ ვაჯე, ნიუტონი (შტორი 64), ნავა

ბორჯღალოსნებმა წლის მეორე საშინაო რკენაში ესპანეთს უმასპინძლეს და რაგბის ევროპის ჩემპიონატის მე-3 ტურის მატჩში მეტოქე 38:7 დაამარცხეს. აღნიშნული მოგებით საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე ზედიზედ მესამედ მოიგო ბონუსით და ცხრილში პირველობა უფრო გაიმყარა.

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. ჯგუფური მეცადინეობა უმაღლეს სასწავლებელში; 6. ზედამხედველობა, შემოწმება; 10. საპატრიარქოს სათათბირო ორგანო; 11. თევზის სახეობა; 12. სხეულის ფიზიკურ თვისებათა არაერთგვარობა; 17. ნუშის ლიქიორი; 18. ოფიციანტი გერმანიაში; 19. დიდი ბზარი; 20. ... აგილერა.

**შვეულად:** 1. ქალაქი ინგლისში; 2. ნაირფერი შუშხუნების აშვება ცაში; 3. ნელა (მუსიკა); 4. ქართველი პოლიტიკოსი; 7. არგენტინელი მწერალი (XX ს.); 8. კარატეს მიმდევარი სპორტსმენი; 9. ოპერაში მთავარი პარტიების შემსრულებელი ქალი; 13. ქუჩის გასანათებელი; 14. სტადიონი ბრაზილიაში; 15. სიბრტყის მართობი; 16. ავადმყოფობის მოვლენათა დროებით შესუსტება.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**






## იუმორი

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– უბრალოდ, შოკში ვარ!

– რა მოხდა?

– ჩემს ქმარს ძვირფასი სათევზაო ანკესი ვაჩუქე.

– მერე, რა გინდა, ის ხომ ყოველ დასვენების დღეებში სათევზაოდ დადის.

– საქმე ისაა, რომ ხელში ატრიალა, ატრიალა და ბოლოს მეკითხება: „ეს რა არის?“...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– იცოდი, რომ ინდოეთში ძროხა წმინდა ცხოველად ითვლება?

– მაშინ შენ სასწრაფოდ ინდოეთში უნდა წახვიდე.

– რატომ?

– შენც წმინდანად გაღიარებენ...

●●●

ვაკანსია სახელმწიფო სამსახურში. მიმდინარეობს გასაუბრება. შემოდის პირველი კანდიდატი. უსვამენ კითხვას:

– რამდენია ორჯერ ორი?

– 5?

– არა.

– 6?

– არა.

– 7?

– არა. მართალია, შტერია, მაგრამ ძიება უყვარს და არ ნებდება, უნდა ავიყვანოთ, – ეუბნება კომისიის ერთი წევრი მეორეს.

შემოდის მეორე კანდიდატი.

– რამდენია ორჯერ ორი?

– 3.

– არა.

– 3.

– არა.

– 3?

– არა. შტერია, მაგრამ მიზანსწრაფული და პრინციპული. უნდა ავიყვანოთ.

შემოდის მესამე. იმავე კითხვას უსვამენ:

– რამდენია ორჯერ ორი?

– ოთხი.

– აფსუს, ჭკვიანია, მაგრამ ვაკანსიები უკვე შევსებულია.

●●●

ახალგაზრდა რაიონულ ცენტრში ექიმთან მივიდა და ეუბნება:

– ექიმო, ბოდიში და ერთ უხერხულ ადგილას მექავება. რა ვქნა?

– ბიჭო, მამაშენმა უნივერსიტეტში ხომ მოგაწყო?

– მომაწყო.

– მანქანაც ხომ გიყიდა?

– მიყიდა.

– თბილისში პრესტიჟულ უბანში ოთხოთახიანი ბინა ხომ გიყიდა?

– მიყიდა.

– აბა, ბიძია, დაჯექი და იფხანე, რამდენიც გინდა, მაგის გულისთვის მაწუხებ?!

●●●

პატარა ბიჭი გოგონას ეუბნება:

– მე შენ მიყვარხარ!

– ისე როგორც დიდებს?

– არა, ნამდვილად მიყვარხარ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**